



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლია ჯალაღონია

წევრები:

მელანო ზოიძე

მაია ფხაკაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)

მერი ბეჟუაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებები)

მაია ქუთათელაძე (უცხოური ენები)

ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდა)

ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიები)

ბელა დურგლიშვილი (სახელმწიფო ენა)

შაქრო ჟღენტი (მათემატიკა)

ქეთევან ბორაშვილი (სპორტი)

ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248053742

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დაბა ხულო
ფაქტობრივი მისამართი	დაბა ხულო, მალხაზ შავაძის ქN7
საფოსტო ინდექსი	6500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	khulodaba@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	270001; 5992013082; 555254469

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება - 07/04/2026; N MES 6 26 0000412169
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 14 და 15 მაისი.



IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	1. დაბა ხულო, მალხაზ შავაძის ქ. N3 – 2 შენობა (N1 ძირითადი კორპუსი, N2 სპორტული დარბაზი) 2. ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ელედიძეები, ქუჩა1 N6



2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	დაბა ხულო, მალხაზ შავაძის ქ. N3 – 2 შენობა(N1 ძირითადი კორპუსი, N2 სპორტული დარბაზი)
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	დაბა ხულო, მალხაზ შავაძის ქ. N3 – 2 შენობა(N1 ძირითადი კორპუსი, N2 სპორტული დარბაზი)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა
მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული
რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება	



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 350	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
--------------	------------------	---------



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	რეკომენდებულია, სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლამ გადახედოს მისიის დოკუმენტში გამოყენებულ ფორმულირებას „ქრისტიანულ-დემოკრატიულ ცნობიერებაზე დაფუძნებული მსოფლიოს მოქალაქეები“ და უზრუნველყოს მისი ტექსტობრივი შესაბამისობა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნებთან, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარობის პრინციპების მკაფიო დაცვას. საჯარო სკოლის ფილოსოფია არ უნდა ატარებდეს კონკრეტული რელიგიური კონფესიის ნიშნებს, რათა გარანტირებული იყოს ინკლუზიური და თანასწორი გარემო ყველა მოსწავლისთვის, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება კი, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხორციელდეს 2026 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან	რეკომენდებულია, სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლამ უზრუნველყოს საგარეო საექსპერტო დოკუმენტების მოპოვება, კერძოდ, ფიზიკური უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესების მიზნით, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობების ექსპლუატაციის/მდგრადობის უსაფრთხოების დასკვნის მისაღებად, როგორც დაბა ხულოში (მაღახაშ შავაძის ქ. N7) მდებარე

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	ცენტრალური კორპუსისთვის, ისე სოფელ ელელიძეებში განთავსებული კორპუსისთვის, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება კი, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხორციელდეს 2028 წლის 08 ივნისის ჩათვლით.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	რეკომენდებულია, სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლამ სრულყოფილი ფიზიკური უსაფრთხოების გარემოს უზრუნველყოფის მიზნით განაახლოს არსებული „საგანგებო მართვის გეგმა“, რისთვისაც მნიშვნელოვანია სათანადოდ შეფასდეს სოფელ ელელიძეების ფაქტობრივ მისამართზე არსებული ხის სასწავლო კორპუსის უსაფრთხოების რისკები, დოკუმენტში სრულად აისახოს აღნიშნული ფილიალის სპეციფიკა, საევაკუაციო გეგმები და არსებული კონტინგენტი (1 მოსწავლე და 3 პედაგოგი), ხოლო განახლებული დოკუმენტის ხელახალი შეთანხმება განხორციელდეს უფლებამოსილი ორგანოსთან კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით მიზანშეწონილია შესრულდეს 2027 წლის 8 ივნისისათვის.



ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	რეკომენდებულია, სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლამ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერებისა და გარეშე პირთა უკონტროლო მიგრაციის აღკვეთის მიზნით იზრუნოს სასკოლო პერიმეტრის მთლიანობის მოწესრიგებაზე, რაც გულისხმობს დაბა ხულოს ცენტრალური სასწავლო კორპუსის ეზოს ფიზიკურ გამიჯვნასა და შემოსაზღვრას მომიჯნავე სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ ხულოს ფილიალის ტერიტორიისგან, აგრეთვე, უსაფრთხოების ნორმების დასაცავად, ხელოვნური შემოზღუდვის ან დამცავი ღობის მოწყობას მეორე ლოკაციაზე — სოფელ ელელიძეების დაწყებითი საფეხურის სასკოლო შენობის ირგვლივ, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება კი, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხორციელდეს 2028 წლის 8 ივნისისათვის.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	1.სკოლის ადმინისტრაციამ ოპერატიულად გაააქტიუროს ოფიციალური საემისწარმოება და შუამდგომლობა უფლებამოსილ ენერგოდისტრიბუციულ კომპანიასთან და მუნიციპალიტეტის მერიასთან, რათა სკოლის შიდა შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში — არაუგვიანეს 2028 წლის 23 თებერვლისა — განხორციელდეს მაღალი ძაბვის სატრანსფორმატორო პუნქტის სკოლის ეზოს ტერიტორიიდან უსაფრთხო დისტანციაზე გადატანა. 2.პრობლემის საბოლოო აღმოფხვრამდე, სკოლამ დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სატრანსფორმატორო პუნქტის გარშემო დამცავი, მყარი, მაღალი ბარიერების (ღობის) მოწყობა, გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება და მანდატურებისა თუ მორიგე პერსონალის მიერ აღნიშნული ზონის მუდმივი ფიზიკური კონტროლი, რათა სრულად გამოირიცხოს მოსწავლეთა მიახლოება საფრთხის შემცველ ობიექტთან.
ინდიკატორი N3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ფინანსური და მატერიალური რესურსების მობილიზება (ან/და შუამდგომლობის აღძვრა უფლებამოსილ



		სახელმწიფო სააგენტოებთან) და სკოლის შიდა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში — არაუგვიანეს 2028 წლის 23 თებერვლისა — მოახდინოს შენობის შიდა სივრცეებისა და გარე პერიმეტრის სრული აღჭურვა ვიდეოთვალთვალის თანამედროვე სისტემით. სისტემის გამართვამდე, სკოლამ გააძლიეროს ადამიანური რესურსის (მორიგე პერსონალისა და მანდატურების) კოორდინირებული მობილიზება პერიმეტრის უსაფრთხოების კონტროლის მიზნით.
ინდიკატორი N3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	რეკომენდებულია, სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლამ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების სრულყოფის მიზნით უზრუნველყოს სათანადო სამართლებრივი მოწესრიგება იმ ფილიალში, სადაც მანდატურის სამსახური არ არის წარმოდგენილი, რისთვისაც მნიშვნელოვანია სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით ოფიციალურად განისაზღვროს და დაინიშნოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი სოფელ ელელიძეების სასწავლო კორპუსში, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება კი, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხორციელდეს 2026 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესებისა და სტანდარტთან სრული შესაბამისობის მიზნით, რეკომენდებულია სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების — საპირფარეშოების, შიდა დარბაზის რეაბილიტაციისა და გარე სპორტული მოედნების/დარბაზების მოწყობის სამუშაოების — პროგრესის ეტაპობრივი მონიტორინგი, რათა აღნიშნული სამუშაოები სრულად და ხარისხიანად დასრულდეს განსაზღვრულ ვადაში (2028 წლის 23 თებერვლამდე).
ინდიკატორი N3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მრავალსართულიან ძირითად კორპუსში დამონტაჟებულია ლიფტი, აღნიშნული ტექნიკური მექანიზმი ვერტიკალურად გადაადგილდება და ფუნქციონირებს მხოლოდ პირველი სართულის დონეზე, ხოლო შენობის მეორე და მესამე სართულებზე, სადაც განთავსებულია სასწავლო პროცესისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საგნობრივი კაბინეტები, კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო



		მეცნიერებების ლაბორატორიები, ლიფტის ასვლა და ფიზიკური შედგენადობა არ არის უზრუნველყოფილი. ასევე არ აქვს პანდუსი სპორტული დარბაზის შესასვლელს. საგანმანათლებლო სივრცის ხელმისაწვდომობის პრინციპი დარღვეულია სოფელ ელედიძეების სასწავლო კორპუსთან მიმართებაშიც, რომელსაც არ გააჩნია პანდუსი. აღნიშნული ტექნიკური შეზღუდვა პირდაპირ იწვევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და გადაადგილების სირთულეების მქონე სასკოლო საზოგადოების წევრთა, მათ შორის მოსწავლეების, პერსონალისა და მშობლების, ფიზიკურ ბარიერებს და ხელყოფს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურით სარგებლობის თანაბარი ხელმისაწვდომობის ფუნდამენტურ პრინციპს. სკოლის ადმინისტრაციამ 2028 წლის 23 თებერვლამდე უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	რეკომენდებულია, სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლამ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ხარისხის ამაღლებისა და პრაქტიკული სამუშაოების უსაფრთხო გარემოში წარმართვის მიზნით უზრუნველყოს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიების აღჭურვა ეროვნული სასწავლო გეგმითა და უსაფრთხოების ნორმებით განსაზღვრული კრიტიკულად აუცილებელი მატერიალური რესურსით, რაც გულისხმობს ლაბორატორიებში გამდინარე წყლით უზრუნველყოფილი შიდა სველი წერტილების მოწყობას, ცეცხლისა და აგრესიული ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებისადმი გამძლეზედაპირიანი სპეციალური სამუშაო მაგიდების განთავსებას და ქიმიის ლაბორატორიაში ცდების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის სავალდებულო ამწოვი კარადის დამონტაჟებას, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება კი, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხორციელდეს 2027 წლის 8 ივნისისათვის.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		



სტანდარტი N2	- სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის	(ესთეტიკური აღზრდა-სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)სასურველია კორექციის შეტანა ხელოვნების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში. სასურველია, დაზუსტდეს თუ რა ქვეცნებებს ამუშავებს პედაგოგი თემის ფარგლებში.მესამე კლასის ხელოვნების კურიკულუმში არ არის გამოკვეთილი თემატური ბლოკები.მოკლედ,რჩევის სახით,ზუსტად უნდა იყოს დაცული კორელაცია თემატურ ბლოკს,თემებს,არჩეულ დავალებას შორის.გამოკვეთილად ჩანდეს რა ცნებები და ქვეცნებები მუშავდება კონკრეტული დავალების ფარგლებში.იგივე ეხება ამავე საგნის საბაზო საფეხურის სახვითი ხელოვნების კურიკულუმებს. ინტერვიუს შემდეგ პედაგოგის მიერ გადმოგზავნილ იქნა კურიკულუმების შესწორებული ვერსიები,სადაც გათვალისწინებულ იქნა ჩემს მიერ მიცემული რეკომენდაციები.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	(საზოგადოებრივი მეცნიერებები)სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში (სამივე საფეხური) უფრო კონკრეტულად იყოს წარმოდგენილი ქვეცნებები და მოკლევადიანი მიზნების განხორციელების პროცესი
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	(უცხო ენები) სასურველია, კათედრამ, ქართული ენის საგნობრივი მიმართულებით, კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; საკითხი და დავალების იდეა ერთსა და იმავეს წარმოადგენს, ასევე, საკითხთა კლასტერი და მაგალითები შედარებისთვის არ არის საჭირო. ბუნებისმეტყველების საგნობრივი მიმართულებით კურიკულუმებში აისახოს სახელმძღვანელოს ავტორები. ესგ-ს სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ცნებები დაზუსტდეს, თითოეულ თემაში აისახოს ყველა სამიზნე ცნება. ასევე, თემები და საკითხები დაზუსტდეს კლასების



		მიხედვით, საათების რაოდენობა, უმჯობესია, თემასთან განისაზღვროს, ვიდრე, დავალების იდეასთან. სასურველია, კურიკულუმებს თანდართული ჰქონდეს შესასრულებელი დავალების ბარათები და ამ კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	(საზოგადოებრივი მეცნიერებები) სასურველია ელექტრონული რესურსების ხელახლა გადახედვა
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	(მათემატიკა) სასურველია რესურსების მრავალფეროვნებაზე აქცენტის გაკეთება უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური სტანდარტის გარემოს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლებისთვის მომზადების ეტაპზე.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	(საზოგადოებრივი მეცნიერებები) სასურველია, სწავლების დიფერენცირებული მიდგომა უფრო მკაფიოდ აისახოს წარმოდგენილ კურიკულუმებში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლის შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მისთვის
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	(მათემატიკა) სასურველია კათედრაზე განხილულ იქნას მოსწავლეთა მიღწევების ანგარიშები, რათა რესურსების შერჩევა მოხდეს კონკრეტული აკადემიური საჭიროებების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	(საზოგადოებრივი მეცნიერებები) სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (სამივე საფეხური) გადაიხედოს და უფრო დაიხვეწოს შინაარსობრივი სიზუსტით. შეფასების რუბრიკებში უფრო კონკრეტულად და ნათლად იყოს ასახული, შეფასების აღმწერი კრიტერიუმები



ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	(მათემატიკა) მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკების დახვეწა, და მაქსიმალურად კონკრეტული უნდა გახდეს რუბრიკის ინდიკატორები
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	(დაწყებითი განათლება) სასურველია, კურიკულუმებს, ოთხივე საგნობრივი მიმართულებით, თანდართული ჰქონდეს შესასრულებელი დავალების ბარათები და ამ კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით
ინდიკატორი N2.1.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	(უცხოური ენები) კურიკულუმის გადასინჯვის დროს სასურველია კონტექსტ მაგალითებები უფრო მკაფიოდ იყოს გადმოცემული და მოცემული იყოს ადეკვატუტი რაოდენობა. ასევე სასურველი ყველა ენაში კურიკულუმები გაჩერილი იყოს ერთ ფორმატში.
ინდიკატორი N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	(მათემატიკა) სასურველია პროცესის უფრო დახვეწისათვის კათედრის წევრებს შორის უნდა მოხდეს აქტიური შეხვედრები, რაც მასწავლებელს დაეხმარება სასწავლო პროცესი ააგონ კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად.
ინდიკატორი N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	(ტექნოლოგიები) სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით დასაქმებული არასერტიფიცირებული მოწვეული მასწავლებლის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, მათ შორის სერტიფიცირების პროცესში ჩართვის ხელშეწყობა და უწყვეტი პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობა, რათა სასწავლო პროცესი კიდევ უფრო მეტად შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს
ინდიკატორი N2.2.1.3.	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	(საზოგადოებრივი მეცნიერებები) სასურველია მიღწეული შედეგების გასაზომად ყველა საფეხურზე წარმოდგენილი იყოს უფრო დაზუსტებული დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები და კურიკულუმებში მკაფიოდ, შინაარსობრივი სიზუსტით სჩანდეს გრძელვადიანი მიზნები და ქვეცნებები.



ინდიკატორი N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი	(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) ყველა დამხმარე სასწავლო რესურსი, რაც მიზნობრივად შეიძლება იქნას გამოყენებული სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას სასურველია დაფიქსირდეს კურიკულუმში.
ინდიკატორი N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) სასურველია სკოლაში შეიქმნას დამხმარე რესურსების ვალიდაციისთვის საჭირო დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს რესურსების ვალიდაციის პროცესს და ვალდებულებასაც გაუჩენს მასწავლებლებს, რომ ერთობლივად, კვალიფიკაციის შესაბამისად მოახდინონ რესურსების შერჩევა/ვალიდაცია და გაუზიარონ კოლეგებს სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად.
ინდიკატორი N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	(საზოგადოებრივი მეცნიერებები) სასურველია კათედრის მიერ გადასინჯული და განახლებული იყოს ციფრული /მულტიმედიური რესურსები, როგორც ენობრივად
ინდიკატორი N2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშაოს ტექნოლოგიების მოწვეული პედაგოგის პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმები, რათა მან უახლოეს პერიოდში შეძლოს საგნის სერტიფიცირება, რაც სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მდგრადობას კვალიფიციური კადრით.
ინდიკატორი N2.3.2.3.	სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს	სასურველია სკოლამ დაგეგმოს და განახორციელოს დიაგნოსტიკური შეფასება, რომლის შედეგებსაც გამოიყენებს საგნობრივი კურიკულუმების განვითარების პროცესში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პირველადი ვარიანტის გაცნობის შემდეგ, სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი საწინააღმდეგო არგუმენტირებული პოზიცია გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით, არამედ დაწესებულება სრულად დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულ თითოეულ მიგნებას და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შეიმუშავა და მოგვაწოდა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ხარვეზების რეკომენდაციებად გარდაქმნისა და მათი ეტაპობრივი აღმოფხვრის კონკრეტული და გონივრული ვადები, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა და სკოლის მიერ გამოხატული თანხმობა სრულად იქნა ასახული დასკვნის საბოლოო ვარიანტში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში კვლევის პერიოდში შესწავლილ იქნა დაწესებულების ფილოსოფიის განმსაზღვრელი დოკუმენტები, მათი შემუშავების მეთოდოლოგია და დამტკიცების სამართლებრივი საფუძვლები.

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (N01-03/10, 05/02/2026) დამტკიცებული აქვს „სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის ფილოსოფიის (ხედვა, მისია, ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რაც ადასტურებს, რომ დაწესებულება სტრატეგიულ დაგეგმვას ახორციელებს სისტემური მიდგომით. ასევე, სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ (სხდომის ოქმი N3; 11/09/2025) დამტკიცებულია „სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა“, რაც მიუთითებს მართვის კოლეგიური ორგანოს ჩართულობაზე აღნიშნულ პროცესში. ხედვის დოკუმენტში პოზიტიურად არის აქცენტირებული სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობა, პასუხისმგებლობის გადანაწილება და ორი უმთავრესი ორიენტირი: ბავშვი როგორც ბედნიერი/რეალიზებული პიროვნება და ბავშვი როგორც ღირსეული/ერუდირებული მოქალაქე. სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინოვაციური მეთოდების დანერგვასა და მშობელთა ჩართულობის გაძლიერებას. ღირებულებების ნაწილში მკაფიოდ არის გაწერილი ფუნდამენტური პრინციპები: თანამშრომლობა, სამართლიანობა, სამშობლოს სიყვარული და თანაგანცდა/შემწყნარებლობა, რაც თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

მიუხედავად გამართული პროცედურული ნაწილისა და პოზიტიური ხედვისა, მისიის ტექსტის სამართლებრივი ვალიდაციისას ვლინდება კრიტიკული ხარვეზი. მასში გამოყენებული ფორმულირება „ქრისტიანულ-დემოკრატიული ცნობიერება“ პირდაპირ ეწინააღმდეგება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლს (საჯარო სკოლის სეკულარობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპი). რეგიონის სპეციფიკისა და მულტიკულტურული გარემოს გათვალისწინებით, საჯარო სკოლის მისია არ უნდა შეიცავდეს კონკრეტული რელიგიური კონფესიის ნიშნებს და უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაო დემოკრატიულ პრინციპებს, რომლებიც თავად სკოლას კარგად აქვს გაწერილი ხედვისა და ღირებულებების ბლოკში.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლამ გადახედოს მისიის დოკუმენტში გამოყენებულ ფორმულირებას



„ქრისტიანულ-დემოკრატიულ ცნობიერებაზე დაფუძნებული მსოფლიოს მოქალაქეები“ და უზრუნველყოს მისი ტექსტობრივი შესაბამისობა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნებთან, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარობის პრინციპების მკაფიო დაცვას. საჯარო სკოლის ფილოსოფია არ უნდა ატარებდეს კონკრეტული რელიგიური კონფესიის ნიშნებს, რათა გარანტირებული იყოს ინკლუზიური და თანასწორი გარემო ყველა მოსწავლისთვის, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება კი, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხორციელდეს 2026 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის პროცესები მიმდინარეობს სისტემურად, დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ციკლის პრინციპის სრული დაცვით. სკოლას გააჩნია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რის საფუძველზეც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. სტრატეგიული მიზნების პრაქტიკულ რეალიზაციას უზრუნველყოფს „ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწავლო წელი)“, რომელიც პირდაპირ კავშირშია „სასკოლო სასწავლო გეგმასთან“ (კურიკულუმთან). სკოლაში რეალურად მუშაობს შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (N 01-03/48, 15/05/2026) შექმნილია „სტრატეგიულ გეგმის შესრულებაზე მონიტორინგის ჯგუფი“, რომელსაც დავალებული აქვს სტრატეგიული გეგმის მიმდინარეობის კონტროლი. აღსანიშნავია, რომ ბრძანების პრეამბულაშივე სწორად არის აქცენტირებული სკოლის ხედვისა და მისიის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა (რაც პირდაპირ ეხმიანება 1.1 ინდიკატორში გამოვლენილ საჭიროებას). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური ჯაჭვი და ადმინისტრაციული აქტები ადასტურებენ, რომ დაწესებულება მართვის პროცესს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენებით.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში სტრატეგიული დაგეგმვის, ფილოსოფიის გადახედვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესები ეფუძნება დემოკრატიულობისა და ინკლუზიურობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის რეალურ მონაწილეობას დაწესებულების განვითარებაში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება (N 01-03/47, 15/05/2026) „სკოლის მისიისა და ხედვის გადახედვის/ცვლილების პროცესის დაწყებისა და სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ“ ნათლად ადასტურებს, რომ სკოლის ფილოსოფიის ფორმირება არ ხდება ვიწრო ადმინისტრაციულ ჭრილში. ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მულტიპროფილური შემადგენლობა პირდაპირ ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს



(დირექტორის მოადგილე, ჯგუფის ხელმძღვანელი; პედაგოგები; სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი; მშობელი). ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სკოლის სტრატეგიული მიზნები, მათ შორის მისიისა და ხედვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი, დაფუძნებული იყოს კონსენსუსზე, ითვალისწინებდეს თითოეული დაინტერესებული მხარის პოზიციას და ზრდიდეს სასკოლო საზოგადოების პასუხისმგებლობას დასახული გეგმების იმპლემენტაციის ეტაპზე.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუების (გასაუბრების) პროცესმა დაადასტურა, რომ სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის ფილოსოფია არ ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. მშობლებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას მკაფიოდ გამოიკვეთა მათი მაღალი ჩართულობა და ინფორმირებულობა სკოლის პრიორიტეტებისა და მიზნების შესახებ. რესპონდენტები თავიანთ პასუხებში ავლენდნენ სკოლის ძირითადი ღირებულებების (თანამშრომლობა, სამართლიანობა, სამშობლოს სიყვარული, თანაგანცდა/ტოლერანტობა) მხარდაჭერასა და გაზიარებას. სასკოლო საზოგადოების წევრები გაცნობიერებულად საუბრობენ საკუთარ როლზე სასკოლო ცხოვრების ყოველდღიურ მართვაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლის მართვის ფილოსოფია რეალურად არის ინტეგრირებული სასკოლო კულტურაში და გაზიარებულია მასში ჩართული მხარეების მიერ.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია დაწესებულების ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) მაღალი საჯაროობა, ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა, რაც საფუძველს უქმნის სასკოლო საზოგადოების მიერ ამ ღირებულებების გაზიარებასა და გაცნობიერებას. ინფორმაციის ფიზიკური ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლის შენობის ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისას დაფიქსირდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სპეციალურ საინფორმაციო სტენდებზე თვალსაჩინო ადგილას — სკოლის ფოიეში. გარდა ამისა, სკოლა აქტიურად იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და ციფრულ სივრცეს: სკოლის ფილოსოფიის განმსაზღვრელი დოკუმენტები, სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები სრულად არის განთავსებული სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. ეს უზრუნველყოფს საზოგადოების, მშობლებისა და ნებისმიერი დაინტერესებული მხარის დისტანციურ, შეუზღუდავ ინფორმირებულობას. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებამ (გასაუბრებამ) დაადასტურა, რომ ინფორმაციის გავრცელების ეს არხები ეფექტურად მუშაობს.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს



სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის სამართლებრივი სტატუსი და ოფიციალური სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა მიხედვით, საჯარო სკოლის ოფიციალური დასახელება ზუსტად უნდა ასახავდეს მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასა და საგანმანათლებლო სტატუსს. სკოლის დაფუძნებისა და სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის ძირითად იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე, დაწესებულება რეგისტრირებულია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შიდა ოფიციალური დოკუმენტაციის, მათ შორის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (ბრძანებები N 01-03/47 და N 01-03/48), სამეურვეო საბჭოს ოქმების და სხვა დოკუმენტების ანალიზით დგინდება, რომ დაწესებულება ყველა ოფიციალურ საქმისწარმოებაში, ბლანკსა და ბეჭედზე იყენებს კანონმდებლობით დადგენილ სწორ ტერმინოლოგიას — „საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) დაბა ხულოს საჯარო სკოლა“. სახელწოდებაში მკაფიოდ არის იდენტიფიცირებული სკოლის ტიპი (საჯარო) და ორგანიზაციული სტატუსი, რაც გამორიცხავს ყოველგვარ ორაზროვნებას და სრულად პასუხობს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა“ (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, სხდომის ოქმი N3; 11/09/2025).
- „სსიპ - დაბა ხულოს საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი“.
- „სსიპ დაბა ხულოს სასკოლო სასწავლო გეგმა“.
- „სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ (დირექტორის ბრძანება N01-03/10, 5/02/2026)
- სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება N 01-03/47 (15/05/2026) „სკოლის მისიისა და ხედვის გადახედვის/ცვლილების პროცესის დაწყებისა და სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ“.



- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“.
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3 (11/09/2025).
- სკოლის ოფიციალური ბეჭედი და საქმისწარმოების ბლანკი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის პროცესები მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული, სისტემური მიდგომით. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება №01-03/10, 5/02/2026) დამტკიცებული აქვს „სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის ფილოსოფიის (ხედვა, მისია, ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სკოლის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომელიც დეტალურად არეგულირებს გრძელვადიანი (სტრატეგიული) და მოკლევადიანი (სამოქმედო) გეგმების ფორმირების ეტაპებს, პრინციპებსა და სტრუქტურას. უმნიშვნელოვანესია, რომ მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გაწერილი სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მშობლები,

მოსწავლეები, მართვის ორგანოები) პრიორიტეტებისა და ინტერესების იდენტიფიცირებისა და გათვალისწინების კონკრეტული მექანიზმები.

მეთოდოლოგიის პრაქტიკული რეალიზაცია დასტურდება სკოლაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებითაც. კერძოდ, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (№01-03/47, 15/05/2026) შექმნილია სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი, რომლის ინკლუზიური შემადგენლობაც (ადმინისტრაცია, პედაგოგები, სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი და მშობელი) ზუსტად პასუხობს დამტკიცებული მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ჩართულობის სტანდარტებს. ამრიგად, სკოლას გააჩნია არა მხოლოდ ფორმალური დოკუმენტი, არამედ მისი აღსრულების მყარი პრაქტიკა.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტი სტრუქტურულად და ვადების მიხედვით პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს. სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ (სხდომის ოქმი N3; 11/09/2025) დამტკიცებული „სტრატეგიული განვითარების გეგმა“ არის შვიდწლიანი და მოიცავს სკოლის განვითარების სრულ ციკლს. დოკუმენტის შინაარსობრივი ანალიზით დგინდება, რომ სტრატეგიული გეგმა აგებულია სკოლის ხედვასა და ღირებულებებზე (თანამშრომლობა, სამართლიანობა, სამშობლოს სიყვარული, ტოლერანტობა). მასში ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიზნები და მათ მისაღწევად დასახული კონკრეტული ამოცანები ლოგიკურ კავშირშია სასკოლო საზოგადოების მიერ დეკლარირებულ პრიორიტეტებთან.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში მოკლევადიანი ოპერატიული დაგეგმვა ხორციელდება სისტემურად და გრძელვადიან მიზნებთან მჭიდრო კავშირში. სკოლას გააჩნია დოკუმენტი: „სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწავლო წელი)“, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის სტრუქტურული და შინაარსობრივი ანალიზით დგინდება, რომ იგი სრულად პასუხობს ხარისხის მართვის თანამედროვე პრინციპებს. გეგმის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ აქტივობების დაგეგმვა ეფუძნება სკოლის შიდა საჭიროებებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ოპერატიული დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების მიგნებებს. დოკუმენტების ურთიერთკავშირი და სტრუქტურული სიზუსტე უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის რეალისტურობასა და გაზომვადობას.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს



4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2025-2026 სასწავლო წელი) სტრუქტურული და შინაარსობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ დოკუმენტი წარმოადგენს ოპერატიული მართვის ეფექტურ ინსტრუმენტს და სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ მატრიცაში თითოეული სტრატეგიული მიზნისა და ამოცანის ჭრილში დეტალურად არის გაწერილი შემდეგი სავალდებულო კომპონენტები:

- შესაბამისი აქტივობები: დასახული მიზნებიდან გამომდინარეობს ლოგიკური და თანმიმდევრული ნაბიჯები (მაგალითად, კურიკულუმების მოდიფიცირება, ინოვაციური მეთოდების დანერგვა, შიდა სასკოლო პროცესების შეფასება);
- გაზომვადი ინდიკატორები: აქტივობების შესრულების შესაფასებლად განსაზღვრულია კონკრეტული და ობიექტურად გადამოწმებადი კრიტერიუმები და მტკიცებულებები (საგნობრივი კათედრების ოქმები, დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა, ფოტო-ვიდეო მასალა, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები);
- რეალისტური ვადები: აქტივობების განხორციელების პერიოდი დინამიურად არის გადანაწილებული და გაწერილი კონკრეტული თვეების (IX-დან VIII თვის ჩათვლით) მიხედვით, რაც უზრუნველყოფს პროცესის თანაბარზომიერებას;
- პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები: ფუნქციები მკაფიოდ არის დელეგირებული და გადანაწილებული როგორც ინდივიდუალურ (დირექტორი, მოადგილე, პედაგოგები), ისე კოლექტიურ დონეზე (საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო);
- შესაბამისი რესურსები: გეგმაში ცალ-ცალკეა იდენტიფიცირებული აქტივობისთვის საჭირო ადამიანური (მაგ. შესაბამისი კათედრის წევრები), მატერიალური (სკოლის ინფრასტრუქტურა/ტექნიკა) და ფინანსური რესურსები, რომელთა მოცულობაც დაწესებულების ბიუჯეტისა და მატერიალური ბაზის გათვალისწინებით რეალისტური და უზრუნველყოფადია.

კომპონენტების ასეთი კომპლექსური და ურთიერთდაკავშირებული ასახვა ცხრილში გამორიცხავს გეგმის ფორმალურ ხასიათს და ადასტურებს, რომ სკოლას შეუძლია დასახული მიზნების პრაქტიკული და მიზნობრივი რეალიზება.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის ფილოსოფიის (ხედვა, მისია, ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-03/10, 5/02/2026).
- სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება №01-03/47 (15/05/2026) „სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ“.
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №3 (11/09/2025).

- „სსიპ - დაბა ხულოს საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი“
- „სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი გეგმა (2025-2032 წწ.)“.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები დაფუძნებულია სისტემურ მიდგომებზე, რაც გეგმავს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების მუდმივ კონტროლს. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (№01-03/10, 5/02/2026) დამტკიცებული აქვს ფუნდამენტური დოკუმენტი — „სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის ფილოსოფიის (ხედვა, მისია, ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგიის დოკუმენტური ანალიზით დგინდება, რომ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ფორმირების/დაწერის ეტაპების აღწერით. დოკუმენტში ცალკე თავი ეთმობა ხარისხის მართვის PDCA ციკლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს — **მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**. მეთოდოლოგია განსაზღვრავს: გეგმების შესრულების მიმდინარეობის კონტროლის პერიოდულობას; მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირებისა თუ სპეციალური სამუშაო ჯგუფების ფორმირების სამართლებრივ ჩარჩოს; მიღებული შედეგების შეფასებისა და ანგარიშგების (პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოებისთვის წარდგენის) სავალდებულო პროცედურებს. მეთოდოლოგიურ დონეზე მონიტორინგის ასეთი მექანიზმების არსებობა სკოლას აძლევს მყარ იურიდიულ საფუძველს, რათა პრაქტიკაში ეფექტურად მართოს, შეაფასოს და განავითაროს საკუთარი სტრატეგიული მიზნები, რაც სრულად პასუხობს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის პრაქტიკული რეალიზაცია და გეგმების შესრულების კონტროლი მიმდინარეობს აქტიურ ფაზაში. სკოლამ შექმნა მყარი ადმინისტრაციული საფუძველი მონიტორინგის პროცესის იურიდიულად სამართავად. კვლევის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (№01-03/48, 15/05/2026) ოფიციალურად ჩამოყალიბდა „სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე მონიტორინგის ჯგუფი“. ჯგუფის შემადგენლობაში განსაზღვრული არიან



კომპეტენტური პირები. აღნიშნულ ჯგუფს ბრძანებითვე დაევალა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიმდინარეობის, აქტივობების შესრულების ვადებისა და ინდიკატორების სისტემური კონტროლი. სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგის პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მშობლები) აზრი, რაც ეხმარება სკოლას მიმდინარე საჭიროებების იდენტიფიცირებაში. თუმცა, მონიტორინგის სისტემის სრულყოფისა და ხარისხის უწყვეტი განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ ამ ჯგუფის მიერ პერიოდულად მომზადებული შუალედური მიგნებები და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირი ოფიციალური ანგარიშების სახით ფორმდებოდეს.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში მაღალ დონეზეა რეალიზებული ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის პრინციპი, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გამჭვირვალობას როგორც შიდა სასკოლო საზოგადოებისთვის, ისე გარე დაინტერესებული მხარეებისთვის. სკოლა გეგმების შესრულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების საჯაროობას ახორციელებს რამდენიმე ეფექტური არხის სინთეზით: შიდასასკოლო კოლეგიური პლატფორმები: გეგმების განხორციელების შუალედური და წლიური შედეგები ოფიციალურად განიხილება მართვისა და სათათბირო ორგანოების სხდომებზე. კერძოდ, პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებზე ხდება შესრულებული სამუშაოს ანალიზი, რაც ფიქსირდება შესაბამის ოქმებში. პროცესში ასევე ჩართულია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც მიეწოდება ინფორმაცია მათ ინტერესებში შემავალი აქტივობების რეალიზაციის შესახებ. მშობელთა საზოგადოების ინფორმირებულობა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო და კლასგარეშე აქტივობების შედეგები პერიოდულად ზიარდება მშობელთა კრებებზე, რაც აძლიერებს ნდობას სკოლის ადმინისტრაციასა და ოჯახებს შორის. ციფრული საჯაროობა: სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ რესურსებს — ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელს (Facebook-გვერდს), სადაც საჯაროვდება ინფორმაცია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების, პროექტებისა და სასწავლო პროცესის შედეგების შესახებ, რაც ხელმისაწვდომია ნებისმიერი გარე დაინტერესებული პირისთვის.

ინფორმაციის გავრცელების შიდა და გარე მექანიზმების ასეთი ერთობლიობა ადასტურებს, რომ სკოლა ფუნქციონირებს ღიაობის პრინციპით და სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის



სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კრიზისების პრევენციისა და საგანგებო სიტუაციების დროს ოპერატიული რეაგირების მიზნით, სკოლაში მოქმედებს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება №01-03/66, რომლითაც დამტკიცებულია „საგანგებო მართვის გეგმა“ და შექმნილია ფუნქციურად დივერსიფიცირებული საგანგებო შტაბი (ხელმძღვანელი — სკოლის დირექტორის მ.შ., ევაკუაციის კოორდინატორი — დირექტორის მოადგილე, სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ლოგისტიკის მენეჯერი და სკოლის ექიმი). თუმცა, დოკუმენტის შესწავლისას და ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმებისას დადგინდა, რომ აღნიშნულ გეგმაში ასახულია მხოლოდ სკოლის ძირითადი/ცენტრალური 3-სართულიანი სასწავლო კორპუსი (მისამართი: დაბა ხულო, მალხაზ შავაძის ქუჩა N3), სკოლას კი გააჩნია შემოერთებული სასწავლო ფართიც სოფელ ელედიძეებში (მცირეკონტინგენტიანი, დაწყებითი საფეხურის კორპუსი), სადაც სასწავლო პროცესში ჩართულია 1 მოსწავლე და 3 პედაგოგი. აღნიშნული ნაგებობა წარმოადგენს ხის კონსტრუქციას, რაც თავისთავად ზრდის სახანძრო და სხვა სახის საგანგებო რისკებს. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ ელედიძეების კორპუსში ფაქტობრივად ხორციელდება საგანმანათლებლო საქმიანობა, ის სრულად არის გამოტოვებული მოქმედი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმიდან. დოკუმენტში არ არის მოცემული ხის შენობის არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა, რისკების შეფასება, საევაკუაციო გზები, პერსონალისა და მოსწავლის ზუსტი რაოდენობა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს სკოლის მთელ ტერიტორიაზე (ყველა ფაქტობრივ ლოკაციაზე) ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რაც წარმოადგენს შეუსაბამობას მოცემული ინდიკატორის მოთხოვნებთან.



რეკომენდებულია, სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლამ სრულყოფილი ფიზიკური უსაფრთხოების გარემოს უზრუნველყოფის მიზნით განაახლოს არსებული „საგანგებო მართვის გეგმა“, რისთვისაც მნიშვნელოვანია სათანადოდ შეფასდეს სოფელ ელელიძეების ფაქტობრივ მისამართზე არსებული ხის სასწავლო კორპუსის უსაფრთხოების რისკები, დოკუმენტში სრულად აისახოს აღნიშნული ფილიალის სპეციფიკა, საევაკუაციო გეგმები და არსებული კონტინგენტი (1 მოსწავლე და 3 პედაგოგი), ხოლო განახლებული დოკუმენტის ხელახალი შეთანხმება განხორციელდეს უფლებამოსილ ორგანოსთან კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით მიზანშეწონილია შესრულდეს 2027 წლის 8 ივნისისათვის.

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით აღებული ვალდებულებების (რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრული იყო 2026 წლის 2 მარტისთვის) შესასრულებლად, საგარეო საექსპერტო დოკუმენტაციის მოპოვების მიზნით, განხორციელდა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები. კერძოდ, ინდიკატორით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, წარმოდგენილია სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის დირექტორის ოფიციალური მიმართვა (წერილი N216156, 24/02/2026 წელი) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის, თეიმურაზ მღებრიშვილის სახელზე. აღნიშნული მიმართვით სკოლა ითხოვს უფლებამოსილი უწყებისგან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებასა და მიწერილობის გაცემას. ვინაიდან აღნიშნული მიმართვა ატარებს ზოგად ხასიათს და იურიდიულად ვრცელდება სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის საკუთრებაში/ბალანსზე არსებულ ყველა ფაქტობრივ ნაგებობაზე, მიიჩნევა, რომ საგარეო უწყებისთვის მიმართვის კომპონენტი დაწესებულების მხრიდან შესრულებულია. შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოს მიერ სკოლის ინსპექტირებისას, შეფასებას დაექვემდებარება როგორც დაბა ხულოს ცენტრალური, ისე სოფელ ელელიძეების კორპუსი.

ინდიკატორით გათვალისწინებული საგარეო საექსპერტო დოკუმენტაციის ნაწილი - დასკვნა შენობის ექსპლუატაციის/მდგრადობის უსაფრთხოების თაობაზე - სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია და შეტანილია მიმდინარე დღის წესრიგში. აღნიშნული საკითხები ასახულია სკოლის შიდა შესაბამისობის გეგმაში, სადაც ორიენტირად განსაზღვრული იყო 2026 წლის 2 მარტი. მოცემულ ეტაპზე, შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო საექსპერტო უწყებების მხრიდან მიმდინარე ადმინისტრაციული და საექსპერტო-საკვლევი პროცედურების ხანგრძლივობის გამო, აღნიშნული დოკუმენტების საბოლოო ფორმირება და საავტორიზაციო პაკეტში წარმოდგენა მიმდინარეობის პროცესშია. სკოლის ადმინისტრაცია აქტიურ კომუნიკაციაშია კომპეტენტურ სახელმწიფო უწყებებთან პროცედურების დროულად დასასრულებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნას საგარეო საექსპერტო შეფასებების სრული თავსებადობა სკოლის უსაფრთხოების მოქმედ

სისტემასთან. სკოლაში იდენტიფიცირებულია საგარეო საექსპერტო დოკუმენტების მოპოვების აუცილებლობა. კერძოდ, გასაუმჯობესებელ მხარეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას არ გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის/მდგრადობის უსაფრთხოების დასკვნა და შესაბამისი უწყების მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან თავსებადობის შესახებ.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლამ უზრუნველყოს საგარეო საექსპერტო დოკუმენტების მოპოვება, კერძოდ, ფიზიკური უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესების მიზნით, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობების ექსპლუატაციის/მდგრადობის უსაფრთხოების დასკვნის მისაღებად, როგორც დაბა ხულოში (მაღხაზ შავაძის ქ. N7) მდებარე ცენტრალური კორპუსისთვის, ისე სოფელ ელედიძეში განთავსებული კორპუსისთვის, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება კი, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხორციელდეს 2028 წლის 08 ივნისის ჩათვლით.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერებისას გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები სკოლის ტერიტორიის ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისა და იზოლაციის კუთხით. კერძოდ, დაბა ხულოს ცენტრალური კორპუსის მიმდებარე სასკოლო ეზოს პერიმეტრის მთლიანობა დარღვეულია. სკოლის ტერიტორიას არ გააჩნია მკაფიო შემოსაზღვრულობა/გამიჯვნა მომიჯნავე საგანმანათლებლო დაწესებულებების – სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ ხულოს ფილიალის ინფრასტრუქტურისგან. აღნიშნული განაპირობებს ეზოების შერწყმას, რაც ართულებს მოსწავლეთა ნაკადებისა და გარეშე პირთა კონტროლს, ზრდის უსაფრთხოების რისკებს და ეწინააღმდეგება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების იზოლირებული გარემოს პრინციპს. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურული შემოწმებისას დადგინდა, რომ სოფელ ელედიძის დაწესებულებითი საფეხურის ხის შენობასაც არ გააჩნია დამცავი ღობე ან რაიმე სახის ხელოვნური შემოზღუდვა. ვინაიდან აღნიშნულ ობიექტზე სასწავლო პროცესში ჩართულია მცირეწლოვანი მოსწავლე, ღობის არარსებობა პირდაპირ საფრთხეს უქმნის მის ფიზიკურ უსაფრთხოებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ სრულყოფილად ვერ არის უზრუნველყოფილი სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, რაც წარმოადგენს შეუსაბამობას მოცემული ინდიკატორის მოთხოვნებთან.

რეკომენდებულია, სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლამ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერებისა და გარეშე პირთა უკონტროლო მიგრაციის აღკვეთის მიზნით იზრუნოს სასკოლო პერიმეტრის მთლიანობის მოწესრიგებაზე, რაც გულისხმობს დაბა ხულოს ცენტრალური სასწავლო კორპუსის ეზოს ფიზიკურ გამიჯვნასა და შემოსაზღვრას



მომიჯნავე სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ ხულოს ფილიალის ტერიტორიისგან, აგრეთვე, უსაფრთხოების ნორმების დასაცავად, ხელოვნური შემოზღუდვის ან დამცავი ღობის მოწყობას მეორე ლოკაციაზე — სოფელ ელეიძეების დაწყებითი საფეხურის სასკოლო შენობის ირგვლივ, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება კი, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხორციელდეს 2028 წლის 8 ივნისისათვის.

სკოლის შიდა და გარე ინფრასტრუქტურის მატერიალურ-ტექნიკური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა ფიზიკური უსაფრთხოების სერიოზული რისკ-ფაქტორი. კერძოდ, სკოლის ეზოს პერიმეტრზე განთავსებულია მაღალი ძაბვის სატრანსფორმატორო პუნქტი, რაც უშუალო საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხო გადაადგილებასა და ჯანმრთელობას. აღნიშნული კრიტიკული შეუსაბამობა სტანდარტის მოთხოვნებთან სკოლის ადმინისტრაციის მიერ იდენტიფიცირებულია და ასახულია შიდა „შესაბამისობის გეგმაში“, სადაც ტრანსფორმატორის უსაფრთხო პერიმეტრზე გადატანის ან სრული იზოლირების/აღმოფხვრის საბოლოო ვადად განსაზღვრულია 2028 წლის 23 თებერვალი. ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ პრობლემის მოგვარება მოითხოვს საგარეო უწყებებთან (ენერგოკომპანიასთან) კოორდინაციას, თუმცა რეალური საფრთხის გათვალისწინებით, გასცემს რეკომენდაციას:

1. სკოლის ადმინისტრაციამ ოპერატიულად გაააქტიუროს ოფიციალური საქმისწარმოება და შუამდგომლობა უფლებამოსილ ენერგოკომპანიასთან და მუნიციპალიტეტის მერიასთან, რათა სკოლის შიდა შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში — არაუგვიანეს 2028 წლის 23 თებერვლისა — განხორციელდეს მაღალი ძაბვის სატრანსფორმატორო პუნქტის სკოლის ეზოს ტერიტორიიდან უსაფრთხო დისტანციაზე გადატანა.
2. პრობლემის საბოლოო აღმოფხვრამდე, სკოლამ დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სატრანსფორმატორო პუნქტის გარშემო დამცავი, მყარი, მაღალი ბარიერების (ღობის) მოწყობა, გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება და მანდატურებისა თუ მორიგე პერსონალის მიერ აღნიშნული ზონის მუდმივი ფიზიკური კონტროლი, რათა სრულად გამოირიცხოს მოსწავლეთა მიახლოება საფრთხის შემცველ ობიექტთან.

ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში სრულყოფილად არის უზრუნველყოფილი სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. სკოლას ჰყავს ექიმი და გააჩნია სრულად ეკიპირებული სამედიცინო კაბინეტი დაწესებულებაში მოქმედებს ადამიანებისა და მიმდინარე პროცესების დაცულობის ინსტიტუციურად გამართული, კომპლექსური და მუდმივ მონიტორინგზე ორიენტირებული შიდა მექანიზმი. სკოლის ექიმი - განათლებით პედიატრი - შერჩეულია აჭარის



ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ საპილოტე რეჟიმში ორგანიზებული, სკოლის ექიმების შესარჩევი პირველი ღია კონკურსის წესით. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში შერჩევის პროცედურების განხორციელება (ვაკანსიის საჯაროობა, საკონკურსო ეტაპები, სამედიცინო კვალიფიკაციის გადამოწმება) ადასტურებს, რომ დაწესებულების ადამიანური რესურსი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ პროფესიულ მოთხოვნებს, ხოლო დასაქმების პროცესი წარიმართა გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით. ადგილზე წარმოდგენილი მატერიალური და ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სამედიცინო კაბინეტის მედიკამენტებითა და პირველადი სამედიცინო დახმარების მასალებით მომარაგება ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. კერძოდ, წარმოდგენილია სკოლის ექიმის მიერ შედგენილი საჭირო მედიკამენტების ნუსხა და მიმდინარე წლის ხელშეკრულება აფთაქთან. დოკუმენტურად დასტურდება შესყიდული სამედიცინო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებების მიღება-ჩაბარების აქტებისა და სასაქონლო ზედნადებების არსებობა. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ კაბინეტში არსებული მედიკამენტები თავსებადია საჯარო სკოლებისთვის ნებადართულ ურეცეპტო წამლების ნუსხასთან. სამედიცინო კაბინეტში წარმოებს სპეციალური სააღრიცხვო ჟურნალი, სადაც ექიმის მიერ მკაცრად კონტროლდება მედიკამენტების შემოსავალი, ყოველდღიური ხარჯვა და ვარგისიანობის ვადები. აღნიშნული ადასტურებს, რომ შესყიდვებისა და აღრიცხვის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების სისტემურობას ოფიციალურად აფორმებს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 9 თებერვლის ბრძანება №01-03/22, რომლითაც დამტკიცებულია „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი“. აღნიშნული წესის პირველი მუხლის შესაბამისად, სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა ემსახურება სტრატეგიულ მიზნებს - ბავშვთა უფლებების დაცვასა და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარებას; წესრიგის დარღვევის შემთხვევებზე ოპერატიულ და ეფექტურ რეაგირებას; ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის. უსაფრთხოების დაგეგმვის პროცესში სკოლა მკაცრად ხელმძღვანელობს: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №06/ნ ბრძანებით (უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შესახებ); საქართველოს ორგანული კანონით „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“; საქართველოს მთავრობის №508 დადგენილებით (სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმები) და №370 დადგენილებით (სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების ტექნიკური რეგლამენტი); ჯანდაცვისა და განათლების მინისტრების ერთობლივი №41/ნ ბრძანებით (სამედიცინო პერსონალისა და კაბინეტის ფუნქციონირების წესი) და №437 დადგენილებით (ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის/რეფერირების პროცედურები). ამ ერთიანი უსაფრთხოების პოლიტიკის პრაქტიკულ რეალიზებასა და ფორსმაჟორულ სიტუაციებზე

რეაგირებას უზრუნველყოფს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (№01-03/66) დამტკიცებული „საგანგებო მართვის გეგმა“. გეგმის საფუძველზე სკოლაში ფუნქციონირებს სპეციალიზებული საგანგებო შტაბი, სადაც პოზიციების მიხედვით გადანაწილებულია კრიტიკული ფუნქციები (ევაკუაციის მართვა, გარე უწყებებთან ოპერატიული კავშირგაბმულობა, პირველადი სახანძრო რეაგირება და სკოლის ექიმის მიერ სამედიცინო დახმარების გაწევა ბრძანება №01-03/23-ით დამტკიცებული წესის შესაბამისად). სკოლა უზრუნველყოფს სოფელ ელელიძეების სასწავლო კორპუსში სამედიცინო მომსახურებასაც - საჭიროების შემთხვევაში ახდენს ექიმის ტრანსპორტირებას აღნიშნულ ლოკაციაზე. ამგვარად, კომპლექსური შიდა რეგულაციების, ეროვნულ საკანონმდებლო აქტებთან სრული სინქრონიზაციისა და სპეციალიზებული საგანგებო შტაბის არსებობა ადასტურებს, რომ სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები არის სრულად მოქმედი და ეფექტური.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა წარმოადგენს უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს. სკოლა უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი როგორც შიდა, ისე უწყებათაშორისი მექანიზმების ფუნქციონირებას, რაც მიზნად ისახავს სასკოლო სივრცეში წესრიგის დარღვევის პრევენციასა და ნებისმიერ ინციდენტზე ოპერატიულ რეაგირებას. სამართლებრივი რეგლამენტაცია და მიზნები: სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანიზებულ ხასიათს ოფიციალურად განსაზღვრავს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით №01-03/22 დამტკიცებული „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი“. აღნიშნული წესის პირველი მუხლის შესაბამისად, სკოლის პრიორიტეტულ ამოცანებს შორისაა გაწერილი სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარება და დარღვევის შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირება. დოკუმენტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეს პროცესი სრულად ემყარება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებას №06/ნ. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პრაქტიკული მექანიზმები: მინისტრის №06/ნ ბრძანების მოთხოვნათა სრული დაცვით, სკოლაში მოქმედებს მართლწესრიგისა და უსაფრთხოების მყარი ინსტიტუციური გარანტიები - სკოლის ტერიტორიაზე მუდმივ რეჟიმში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური. მანდატურის არსებობა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის მუდმივ მონიტორინგს, კონფლიქტების პრევენციას, მოსწავლეთა ქცევის კონტროლსა და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში მყისიერ რეაგირებას, რაც მინიმუმამდე ამცირებს სამართალდარღვევების რისკს. სკოლის სოფელ ელელიძეების კორპუსში, სადაც მანდატურის სამსახური არ არის წარმოდგენილი, არ დასტურდება სკოლის დირექტორის ბრძანებით



უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა/დანიშვნა. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს უსაფრთხოების საკითხებზე ორიენტირებულ კოლეგიურ პლატფორმას. საბჭო უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა, მანდატურებისა და ადმინისტრაციის კოორდინირებულ მუშაობას. ამ ორგანოს რეალურ და ქმედით მუშაობას ადასტურებს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება №01-03/52, რომლის საფუძველზეც, კანონმდებლობის შესაბამისად, ხორციელდება მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის მიმდინარე განახლება და სტრუქტურული კორექტირება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საბჭო არის მუდმივად ფუნქციონირებადი და ადაპტირებადი ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოსა და საზოგადოებრივი წესრიგის მდგრადობას. საზოგადოებრივი წესრიგის კონტროლს დამატებით აძლიერებს სკოლის შინაგანაწესი, პერსონალისა და დამრიგებლების გეგმიური მორიგეობა და მჭიდრო რეფერირების კავშირი კომპეტენტურ სახელმწიფო უწყებებთან. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ეტაპზე სკოლის შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის დამონტაჟებული ვიდეოთვალოვალის ელექტრონული სისტემა, რაც სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია, როგორც ტექნიკური გამოწვევა(იხ. შესაბამისობის გეგმა) და პრევენციის მიზნით, აღნიშნული ნაკლოვანება სრულად კომპენსირდება ადამიანური რესურსის (მორიგე პერსონალისა და მანდატურების) გაძლიერებული მობილიზებით. პრობლემის აღმოფხვრისა და კამერების სრული ინსტალაციის საბოლოო ორიენტირად განსაზღვრულია 2028 წლის 23 თებერვალი. ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს სკოლის სტრატეგიულ მზაობასა და გაწერილ დროით ჩარჩოს, თუმცა უსაფრთხოების რისკების მინიმიზაციის მიზნით, აუცილებლად მიიჩნევა სავალდებულო რეკომენდაციის გაცემას.

რეკომენდებულია: სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლამ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების სრულყოფის მიზნით უზრუნველყოს სათანადო სამართლებრივი მოწესრიგება იმ ფილიალში, სადაც მანდატურის სამსახური არ არის წარმოდგენილი, რისთვისაც მნიშვნელოვანია სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით ოფიციალურად განისაზღვროს და დაინიშნოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი სოფელ ელედიძეების სასწავლო კორპუსში, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება კი, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხორციელდეს 2026 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

რეკომენდაცია: სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ფინანსური და მატერიალური რესურსების მობილიზება (ან/და შუამდგომლობის აღძვრა უფლებამოსილ სახელმწიფო სააგენტოებთან) და სკოლის შიდა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში — არაუგვიანეს 2028 წლის 23 თებერვლისა — მოახდინოს სასკოლო შენობების (როგორც ცენტრალური, ასევე სოფელ ელედიძეების სასწავლო კორპუსების) შენობის შიდა სივრცეებისა და გარე პერიმეტრის სრული აღჭურვა ვიდეოთვალოვალის თანამედროვე სისტემით. სისტემის გამართვამდე, სკოლამ გააძლიეროს ადამიანური რესურსის (მორიგე პერსონალისა და მანდატურების) კოორდინირებული მობილიზება პერიმეტრის უსაფრთხოების კონტროლის მიზნით.

ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია და პრაქტიკაში აქტიურად რეალიზდება ფსიქოლოგიურად, სოციალურად და ემოციურად უსაფრთხო, მზრუნველი საგანმანათლებლო გარემო. სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პოზიტიური, ურთიერთპატივისცემასა და თანასწორობაზე დაყრდნობითი კლიმატის შენარჩუნებაზე, რაც გამორიცხავს ნებისმიერი ფორმის ძალადობას, დისკრიმინაციასა და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია როგორც მართვის ერთ-ერთი უპირატესი მიზანი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით №01-03/22 დამტკიცებული „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტის“ პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტი პირდაპირ იღებს ვალდებულებას „ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნაზე სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის“. ეს მიზანი პრაქტიკაში გამყარებულია სკოლის შინაგანაწესითა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებით, რაც კრძალავს მოსწავლეების მიმართ ნებისმიერი სახის დამამცირებელი ან ემოციური სტრესის გამომწვევი მეთოდების გამოყენებას. ფსიქოლოგიური უსაფრთხოების კონტროლი და ბუღინგის/კონფლიქტების პრევენცია ხორციელდება კომპლექსური შიდა სტრუქტურების კოორდინირებული მუშაობით. სკოლაში მოქმედი მრჩეველთა საბჭო (ბრძანება №01-03/52) და მანდატურები რეგულარულად ახორციელებენ სასკოლო გარემოს მონიტორინგს, ადრეულ ეტაპზევე ავლენენ მოსწავლეებს შორის შესაძლო დაპირისპირებებს ან ემოციურ გამოწვევებს და ატარებენ პრევენციულ, საინფორმაციო თუ განმარტებით სამუშაოებს. ბრძანებით №01-03/24 დამტკიცებული „მშობლებთან ურთიერთობის დებულება“ უზრუნველყოფს, რომ ბავშვის ემოციური ან ფსიქოლოგიური სირთულეების იდენტიფიცირებისას მყისიერად მოხდეს ოჯახის ინფორმირება და ერთობლივი მხარდაჭერი ღონისძიებების დაგეგმვა. ბრძანებით №01-03/27 დამტკიცებული „განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი“ ნებისმიერ მოსწავლეს, მშობელსა თუ პერსონალს აძლევს სრულ გარანტიას, რომ ფსიქოლოგიური შევიწროების ან უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მათი საჩივარი განიხილება კონფიდენციალურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების მკაცრი დაცვით. მონაცემთა დაცვის მექანიზმების სისტემურობა და იურიდიული მდგრადობა ოფიციალურად გარანტირებულია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 9 თებერვლის ბრძანებით N 01-03/19. აღნიშნული სამართლებრივი აქტით ინსტიტუციურ დონეზე დამტკიცებულია სპეციალიზებული შიდა დოკუმენტი — „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“. ამგვარად, უსაფრთხოების სპეციალიზებული დებულების, მოქმედი კოლეგიური და პრევენციული ორგანოებისა (მრჩეველთა საბჭო, მანდატური) და ღია საკომუნიკაციო სისტემის არსებობა ადასტურებს, რომ სკოლა სრულფასოვნად უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას



სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა და სასკოლო საზოგადოებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა წარმოადგენს მატერიალური და ინფრასტრუქტურული მართვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. სკოლა უზრუნველყოფს, რომ შენობის შიდა სივრცეები, საკლასო ოთახები, დერეფნები და სველი წერტილები მუდმივად შეესაბამებოდეს მოქმედ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სტანდარტებს. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა გამყარებულია ფინანსური რესურსით. სკოლის წლიური ბიუჯეტისა და ხარჯთაღრიცხვის (ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლობრივი ცხრილი) მიხედვით, სკოლას მიზნობრივად აქვს გამოყოფილი ფინანსური ასიგნებები — 2,500.00 ლარი სანიტარული საგნების შესყიდვის მიზნით. აღნიშნული ბიუჯეტი სკოლას აძლევს შესაძლებლობას, უწყვეტ რეჟიმში, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად (CPV კოდების მიხედვით კვარტალურად) უზრუნველყოს დაწესებულება მაღალი ხარისხის სადეზინფექციო, ჰიგიენური და დამლაგებელი საშუალებებით. ჰიგიენური ნორმების მუდმივი კონტროლისთვის სკოლაში მოქმედებს შიდა მონიტორინგის ეფექტური სისტემა, სადაც ფუნქციები მკაფიოდ არის განაწილებული პოზიციების მიხედვით - დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (N 01-03/23) დამტკიცებული სამედიცინო წესისა და მოქმედი რეგულაციების ჩარჩოში, სკოლის ექიმი ყოველდღიურად ახორციელებს სკოლის ტერიტორიის, განსაკუთრებით კი სველი წერტილებისა და კვების ბლოკის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სანიტარული მდგომარეობის ინსპექტირებას. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი (საგანგებო შტაბის ბრძანება №01-03/66) პასუხისმგებელია ტექნიკური პერსონალის (დამლაგებლების) მუშაობის გრაფიკის კონტროლსა და სანიტარული მასალების დროულ განაწილებაზე. ამგვარად, დაფინანსების, შესყიდვების გეგმაზომიერი მართვისა და შიდა სამედიცინო-ადმინისტრაციული კონტროლის ერთობლიობა ადასტურებს, რომ სკოლა სრულფასოვნად უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში საქმისწარმოებისა და საინფორმაციო ნაკადების მართვა ეფუძნება უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის მაღალ სტანდარტებს. სკოლა სრულფასოვნად უზრუნველყოფს მოსწავლეთა, მშობელებისა და დასაქმებული პერსონალის პერსონალური მონაცემების დაცვას, რაც გამორიცხავს კონფიდენციალური ინფორმაციის არასანქცირებულ ხელმისაწვდომობას, გავრცელებას ან მესამე პირებზე უკანონო გადაცემას. მონაცემთა დაცვის მექანიზმების სისტემურობა და იურიდიული მდგრადობა ოფიციალურად გარანტირებულია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N 01-03/19. აღნიშნული სამართლებრივი აქტით ინსტიტუციურ დონეზე დამტკიცებულია სპეციალიზებული შიდა დოკუმენტი — „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“. ეს წესი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, დეტალურად არეგულირებს: მონაცემთა დამუშავების პრინციპებს - განსაზღვრავს სკოლის საქმისწარმოებაში არსებული პირადი საქმეების, ელექტრონული ბაზებისა და ჟურნალების წარმოების უსაფრთხოების სტანდარტებს; ადგენს პერსონალის იერარქიულ დაშვებას კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, სადაც მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილ პირებს (მაგალითად: საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი) აქვთ წვდომა პირადი ხასიათის მონაცემებზე; ბრძანების შესაბამისად, უზრუნველყოფილია ამ წესის ოფიციალური გაცნობა სკოლის



საქმისმწარმოებლის მიერ ყველა დაინტერესებული და პასუხისმგებელი პირისათვის, რაც მინიმუმამდე ამცირებს ინფორმაციის გაჟონვის ან არასწორი დამუშავების რისკებს. სკოლაში მონაცემთა დაცვის პოლიტიკა არ ატარებს მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს და იგი გამყარებულია კონკრეტული საკადრო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებებით. აღნიშნული წესის პრაქტიკული რეალიზებისა და მუდმივი კონტროლის მიზნით, გამოცემულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება №01-03/18. ამ სამართლებრივი აქტით სკოლაში ოფიციალურად არის განსაზღვრული პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ძირითად მოვალეობასაც წარმოადგენს: სკოლის საქმისმწარმოებაში არსებული პირადი საქმეების, ელექტრონული ბაზებისა და ჟურნალების წარმოების უსაფრთხოების სტანდარტების მუდმივი მონიტორინგი; პერსონალის იერარქიული დაშვების კონტროლი კონფიდენციალურ ინფორმაციაზე; მონაცემთა დამუშავების კანონშესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული ბრძანებებისა და წესის არსებობა, საჩივრების განხილვის სისტემასთან (ბრძანება N 01-03/27) და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტთან (ბრძანება N 01-03/22) კომპლექსურ კავშირში, ადასტურებს, რომ სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები ფუნქციონირებს გამართულად და სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი შესაბამება მოთხოვნებს

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში დანერგილია და ეფექტურად მოქმედებს მის ხელთ არსებული ინფორმაციის, ელექტრონული და ფიზიკური ბაზებისა და საქმისმწარმოების დოკუმენტაციის დაცვის საიმედო, ინსტიტუციური მექანიზმები. სკოლა უზრუნველყოფს საინფორმაციო რესურსების კონფიდენციალურობას, მთლიანობასა და ხელმისაწვდომობის კონტროლს მოქმედი კანონმდებლობის სტანდარტების შესაბამისად. სკოლაში საინფორმაციო უსაფრთხოების მართვა ხორციელდება კომპლექსური მიდგომით, რაც გულისხმობს როგორც მარეგულირებელი წესების არსებობას, ისე პასუხისმგებლობების მკაცრ პერსონალიზაციას: ინფორმაციული რესურსების დაცვისა და კონტროლის მექანიზმის პრაქტიკულ ქმედითობას პირდაპირ ადასტურებს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 6 თებერვლის ბრძანება N 01-03/18. აღნიშნული სამართლებრივი აქტით სკოლის პერსონალურ მონაცემებსა და კონფიდენციალურ ინფორმაციაზე ოფიციალურად განისაზღვრა კონკრეტული პასუხისმგებელი პირი სკოლის თანამშრომელთა შემადგენლობიდან. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს საქმისმწარმოებაში არსებული პირადი საქმეების, ელექტრონული ბაზებისა და ჟურნალების უსაფრთხოებას, იცავს მონაცემთა დამუშავების კანონიერების პრინციპებს და ახორციელებს პერსონალის იერარქიულ დაშვებას შიდა ინფორმაციაზე. აღნიშნული მექანიზმი მუშაობს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (N 01-03/19) დამტკიცებული „პერსონალური მონაცემების დაცვის წესის“ საფუძველზე. ბრძანების (N 01-03/18) მე-2 პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფილია ამ გადაწყვეტილების ოფიციალური გაცნობა სკოლის საქმისმწარმოებლის მიერ ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რაც ზრდის შიდა ორგანიზაციულ პასუხისმგებლობას. საინფორმაციო და პერსონალური უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტიანობა დამატებით გარანტირებულია საგანმანათლებლო რესურსცენტრის დონეზე. ტერიტორიული ორგანოს (რესურსცენტრის) მიერ ოფიციალურად არის დანიშნული/განსაზღვრული პერსონალური მონაცემებისა და



ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის სპეციალიზებული თანამშრომელი . აღნიშნული საგარეო მექანიზმი უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საინფორმაციო ნაკადების, ელექტრონული ჟურნალებისა და მონაცემთა ბაზების პერიოდულ მონიტორინგს, მეთოდოლოგიურ გზამკვლეობასა და კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობას. ამგვარად, ინფორმაციის დაცვის სპეციალიზებული წესის, კორესპონდენციის მკაცრი აღრიცხვიანობისა და საამისოდ უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირის ოფიციალური განსაზღვრის ერთობლიობა ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მოქმედი, საიმედო და გამართული შიდა მექანიზმები.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში უსაფრთხოების მექანიზმების მართვა ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტ ციკლს, რაც გულისხმობს ადამიანებისა და მიმდინარე პროცესების დაცულობის სისტემების პერიოდულ შეფასებას და მიღებული შედეგების საფუძველზე მათ მუდმივ გაუმჯობესებას. ინსტიტუციურ დონეზე აღნიშნულ პროცედურას იურიდიულად აწესრიგებს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი, რომლის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ყოველწლიურად ახორციელებს ყველა ძირითადი და დამხმარე პროცესის, მათ შორის უსაფრთხოების გარემოს შეფასებას, რისკ-ფაქტორების ანალიზსა და სპეციალური კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღებას. სკოლაში შექმნილი შიდა შესაბამისობის გეგმა წარმოადგენს უსაფრთხოების მექანიზმების შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების ასახვისა და გაუმჯობესების ძირითად ინსტრუმენტს, სადაც მკაფიოდ არის იდენტიფიცირებული ისეთი ინფრასტრუქტურული გამოწვევები, როგორიცაა საგარეო საექსპერტო დასკვნების მოპოვება, სატრანსფორმატორო პუნქტის უსაფრთხო დისტანციაზე გადატანა თუ ვიდეოთვალთვალის სისტემის მოწყობა, და განსაზღვრულია მათი ეტაპობრივი აღმოფხვრის რეალისტური ვადები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა პერიოდული შეფასების შედეგებს მიზნობრივად იყენებს უსაფრთხოების საერთო სისტემის სრულყოფისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი (თავი I და თავი II: მუხლები 6 და 7).



- სკოლის შიდა შესაბამისობის გეგმა-შეფასება:
- **დირექტორის ბრძანება N 01-03/18** — სკოლის პერსონალურ მონაცემებზე შიდა პასუხისმგებელ პირად განსაზღვრის შესახებ.
- **ხულოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამართლებრივი აქტი / წერილი** — ინფორმაციული და პერსონალური უსაფრთხოების საგარეო თანამშრომლის (ოფიცრის) დანიშვნის/განსაზღვრის შესახებ (უწყებრივი კონტროლის ძირითადი მტკიცებულება).
- **დირექტორის ბრძანება N 01-03/19** — „პერსონალური მონაცემების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“.

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკულ და თეორიულ სწავლებას შორის მყარ კავშირს. სკოლას აქვს ორი სასწავლო კორპუსი -ცენტრალური, სამსართულიანი ნაწილობრივ რეაბილიტირებული შენობა, ცალკე მდგომი სპორტული დარბაზით და ერთსართულიანი, ხის შენობა სოფელ ელელიძეებში, სადაც სწავლება მხოლოდ დაწყებით საფეხურზე მიმდინარეობს(ამჟამად იქ მხოლოდ ერთი მოსწავლე სწავლობს). შენობები ელექტროფიციერებულია,აქვს



წყალგაცვანილობა, ცენტრალურ კორპუსს აქვს დიზელზე მომუშავე გათბობის სისტემა, ხოლო ელელიძეების კორპუსი და სკოლის სპორტული დარბაზი შეშით თბება. სკოლის ცენტრალურ კორპუსში ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და კომპიუტერული ლაბორატორიები, რაც მოსწავლეებს აძლევს საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური საგნების სიღრმისეული ათვისებისა და პრაქტიკული ექსპერიმენტების ჩატარების შესაძლებლობას. საინფორმაციო და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლაში მოქმედებს სრულად რეაბილიტირებული და მდიდარი წიგნადი ფონდით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკა, რომელსაც დამატებით ახლავს ცალკე გამოყოფილი სახელმძღვანელოების წიგნთსაცავი, რაც ორგანიზებულს ხდის სასწავლო მასალების შენახვასა და განაწილებას. სკოლის შიდა სივრცე მოიცავს საექტო დარბაზს კულტურულ-შემოქმედებითი და საინფორმაციო ღონისძიებებისთვის, ასევე სპეციალურად მოწყობილ რესურსოთახს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისთვის. მოსწავლეთა ფიზიკური განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის, სოფელ ელელიძეების ერთსართულიან კორპუსში მოწყობილია თანამედროვე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. მიუხედავად იმისა, რომ დაბა ხულოს ძირითად კორპუსს არ გააჩნია საკუთარი ღია სპორტული მოედანი, ეს მოცემულობა კომპენსირდება იმით, რომ სკოლის ეზოს უშუალო მიმდებარედ განთავსებულია მუნიციპალური ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, რომლითაც სკოლის მოსწავლეები და მოზარდები სასწავლო თუ არასასწავლო დროს სარგებლობენ სრულიად დაუბრკოლებლად. საგაკვეთილო პროცესის კომფორტულად წარმართვისთვის, ყველა საკლასო ოთახი და საგანმანათლებლო სივრცე უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობის მერხებით, სკამებითა და სხვა საჭირო სასკოლო ავეჯით, რომელთა მუდმივი განახლება, მოვლა და შესყიდვა (როგორც ეს ასახულია ხარჯთაღრიცხვის კაპიტალურ მუხლებში საოფისე ავეჯის შეძენის შესახებ) მკაფიოდ ადასტურებს, რომ სკოლა ფლობს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო მყარ მატერიალურ გარემოს. მიუხედავად აღნიშნული რესურსების არსებობისა, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური დათვალიერებისას გამოიკვეთა სტანდარტთან მკაფიო შეუსაბამობა, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს პრაქტიკული სამუშაოების უსაფრთხოდ წარმართვაზე. კერძოდ, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიულ სივრცეებს არ გააჩნია გამდინარე წყლით უზრუნველყოფილი შიდა სველი წერტილი, ცეცხლისა და აგრესიული ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებისადმი გამძლეუდაპირიანი სპეციალური ლაბორატორიული მაგიდები და ქიმიური ექსპერიმენტებისთვის კრიტიკულად აუცილებელი ამწოვი კარადა.

რეკომენდებულია, სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლამ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ხარისხის ამაღლებისა და პრაქტიკული სამუშაოების უსაფრთხო გარემოში წარმართვის მიზნით უზრუნველყოს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიების აღჭურვა ეროვნული სასწავლო გეგმითა და უსაფრთხოების ნორმებით განსაზღვრული კრიტიკულად



აუცილებელი მატერიალური რესურსით, რაც გულისხმობს ლაბორატორიებში გამდინარე წყლით უზრუნველყოფილი შიდა სველი წერტილების მოწყობას, ცეცხლისა და აგრესიული ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებისადმი გამძლეუდაპირიანი სპეციალური სამუშაო მაგიდების განთავსებას და ქიმიის ლაბორატორიაში ცდების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის სავალდებულო ამწოვი კარადის დამონტაჟებას, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება კი, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხორციელდეს 2027 წლის 8 ივნისისათვის.

სასკოლო კორპუსის პირველ, მეორე და მესამე სართულზე არ არის მოწყობილი თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი სველი წერტილები (სკოლის კონტინგენტის შესაბამისად გოგონების, ვაჟების და ადაპტირებული განყოფილებებით). სარეაბილიტაციოა სპორტული დარბაზი, რომელიც ავტონომიურად შეშით თბება. სკოლამ განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელი სამუშაოების ჩატარება 2028 წლის 23 თებერვლამდე.

რეკომენდაცია: ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესებისა და სტანდარტთან სრული შესაბამისობის მიზნით, რეკომენდებულია სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების — საპირფარეშოების, შიდა დარბაზის რეაბილიტაციისა და გარე სპორტული მოედნების/დარბაზების მოწყობის სამუშაოების — პროგრესის ეტაპობრივი მონიტორინგი, რათა აღნიშნული სამუშაოები სრულად და ხარისხიანად დასრულდეს განსაზღვრულ ვადაში (2028 წლის 23 თებერვლამდე).

ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის დაბა ხულოს საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის შიდა მარეგულირებელი ჩარჩოს, კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-5 მუხლის 1.4 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულების პერსონალს და მოსწავლეებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა, გამოიყენონ სკოლის რესურსები საკუთარი პროფესიული და საგანმანათლებლო მიზნების განსახორციელებლად, რაც ეყრდნობა სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. სკოლის ძირითად კორპუსში არსებული სპეციალიზებული საერთო სივრცეები — სრულად რეაბილიტირებული ბიბლიოთეკა, სახელმძღვანელოების წიგნთსაცავი, სააქტო დარბაზი და კომპიუტერული თუ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები — მუდმივად ღიაა და ხელმისაწვდომია საგაკვეთილო და არასაკვეთილო



აქტივობებისთვის. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმის ფარგლებში, მოსწავლეები და პედაგოგები დაუბრკოლებლად სარგებლობენ როგორც სკოლის მფლობელობაში არსებული დახურული სპორტული დარბაზით, ისე სოფელ ელელიძეების კორპუსში მოწყობილი ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნით. მიუხედავად იმისა, რომ ძირითად კორპუსს არ გააჩნია საკუთარი ღია მოედანი, სკოლის ეზოს მიმდებარედ არსებული მუნიციპალური ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნით სარგებლობა სრულად არის უზრუნველყოფილი და ხელმისაწვდომი მოზარდებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიურ გარემოს, რისთვისაც სკოლაში ფუნქციონირებს სპეციალურად მოწყობილი რესურსოთახი, რომელიც ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სრულფასოვან ინტეგრაციასა და სასწავლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას. საზოგადოებასთან, მშობლებთან და კოლეგიურ ორგანოებთან (სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო) კომუნიკაციისა და საინფორმაციო რესურსების გაზიარების მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს დამტკიცებულ „მშობლებთან ურთიერთობის დებულებას (კომუნიკაციის სტრატეგია)“ (ბრძანება №01-03/24), რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასა და საერთო სივრცეების მიზნობრივ გამოყენებას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მიერ. სკოლის სამსართულიან ცენტრალურ კორპუსში ფუნქციონირებს სათანადოდ დამონტაჟებული ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს შეუფერხებელ გადაადგილებასა და ხელმისაწვდომობას შენობის მეორე სართულზე, თუმცა ის ფუნქციონირებს მხოლოდ მეორე სართულის დონეზე. შენობის მესამე და მეოთხე სართულებზე, სადაც განთავსებულია სასწავლო პროცესისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საერთო სივრცეები — კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, ლიფტით გადაადგილება და ფიზიკური შეღწევადობა არ არის უზრუნველყოფილი. აღნიშნული ტექნიკური შეზღუდვა პირდაპირ არღვევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სასკოლო საზოგადოების წევრთა (მოსწავლეები, პერსონალი, მშობლები) თანაბარი ხელმისაწვდომობის ფუნდამენტურ პრინციპს, რაც წარმოადგენს ხარვეზს ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებით. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმით ამ ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებათა ვადა-2028 წლის 23 თებერვალი, შესაბამისად მიეცა რეკომენდაცია:

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მრავალსართულიან ძირითად კორპუსში დამონტაჟებულია ლიფტი, აღნიშნული ტექნიკური მექანიზმი ვერტიკალურად გადაადგილდება და ფუნქციონირებს მხოლოდ პირველი სართულის დონეზე, ხოლო შენობის მეორე და მესამე სართულებზე, სადაც განთავსებულია სასწავლო პროცესისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საგნობრივი კაბინეტები, კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, ლიფტის ასვლა და ფიზიკური შეღწევადობა არ არის უზრუნველყოფილი. ასევე არ აქვს პანდუსი სპორტული დარბაზის შესასვლელს. საგანმანათლებლო სივრცის ხელმისაწვდომობის პრინციპი დარღვეულია სოფელ ელელიძეების სასწავლო კორპუსთან მიმართებაშიც, რომელსაც არ გააჩნია



პანდუსი. აღნიშნული ტექნიკური შეზღუდვა პირდაპირ იწვევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და გადაადგილების სირთულეების მქონე სასკოლო საზოგადოების წევრთა, მათ შორის მოსწავლეების, პერსონალისა და მშობლების, ფიზიკურ ბარიერებს და ხელყოფს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურით სარგებლობის თანაბარი ხელმისაწვდომობის ფუნდამენტურ პრინციპს. სკოლის ადმინისტრაციამ 2028 წლის 23 თებერვლამდე უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.

ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სერვისების მიწოდება და საინფორმაციო რესურსების მართვა სრულად არის უზრუნველყოფილი, სისტემურად მოწესრიგებული და ეფუძნება დაწესებულების მიერ შემუშავებულ ოფიციალურ სამართლებრივ ჩარჩოს. სკოლაში ბიბლიოთეკის ფუნქციონირება, წიგნადი ფონდით სარგებლობა და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა გარანტირებულია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 9 თებერვლის ბრძანებით № 01-03/28. აღნიშნული სამართლებრივი აქტით ინსტიტუციურ დონეზე ოფიციალურად არის დამტკიცებული ფუნდამენტური დოკუმენტი — „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების სტანდარტებს, წიგნების გაცემისა და დაბრუნების პროცედურებს, მკითხველთა უფლება-მოვალეობებსა და წიგნადი ფონდის მოვლა-პატრონობის რეგულაციებს. ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, სკოლის საქმისმწარმოებელს ოფიციალურად აქვს დავალებული ამ წესის აქტიური გაცნობა ყველა დაინტერესებული პირისთვის, რაც უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო მომსახურების პირობების საჯაროობას, გამჭვირვალობასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და პერსონალისთვის დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის შესაბამისად, ბიბლიოთეკა წარმოადგენს ერთიან საინფორმაციო სივრცეს, სადაც განთავსებულია სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემები, რაც პირდაპირ უწყობს ხელს მოსწავლეთა განვითარებასა და პერსონალის პროფესიულ ზრდას. საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის წესი იურიდიულად სინქრონიზებულია „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონთან და სკოლის წესდებასთან, ხოლო პროცესების მართვასა და სერვისების მიწოდებას კოორდინაციას უწევს სპეციალიზებული კადრი — ბიბლიოთეკარი. სერვისების უწყვეტობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით, დებულებით მკაცრად არის რეგლამენტირებული ბიბლიოთეკის სამუშაო დრო, რომელიც ფუნქციონირებს ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე. დოკუმენტის მეორე მუხლის თანახმად, საბიბლიოთეკო საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა, მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება საჭირო ბეჭდური თუ



ელექტრონული ლიტერატურით და კითხვისთვის ხელსაყრელი სამუშაო გარემოს შექმნა, რაც სრულად ადასტურებს სკოლის მზაობას, მიაწოდოს ხარისხიანი საბიბლიოთეკო სერვისები სასკოლო საზოგადოებას.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური გარემო მიზანმიმართულად არის ორიენტირებული ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებასა და თითოეული მოსწავლისთვის თანაბარი საგანმანათლებლო პირობების შექმნაზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სრულფასოვანი ინტეგრაციისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ეფექტიანი მხარდაჭერისთვის სკოლის ძირითად კორპუსში ფუნქციონირებს საგანგებოდ მოწყობილი და სათანადო რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი. შენობის 2 სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, სამედიცინო კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახები. შენობის შიდა სივრცეებში ფიზიკური ხელმისაწვდომობისა და უნივერსალური დიზაინის ელემენტების დანერგვის მიზნით, სკოლის მრავალსართულიან ცენტრალურ კორპუსში დამონტაჟებულია და ფუნქციონირებს ლიფტი, რაც უზრუნველყოფს სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა ვერტიკალურ გადაადგილებასა და შეუფერხებელ წვდომას შენობის მეორე სართულზე განთავსებულ ძირითად საერთო სარგებლობის საგანმანათლებლო სივრცეებზე, მათ შორის სრულად რეაბილიტირებულ ბიბლიოთეკაზე. აღნიშნული მატერიალური ბაზის ეფექტურობასა და ინკლუზიურ მართვას იურიდიულად აძლიერებს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (კერძოდ, მე-5 მუხლის 1.4 პუნქტი), რომელიც პერსონალისა და მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობისას თანაბარი შესაძლებლობებისა და სამართლიანობის გარანტიას ქმნის.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის მატერიალური რესურსები და შიდა სივრცეები მიზანმიმართულად გამოიყენება არა მხოლოდ სტანდარტული საგაკვეთილო პროცესისთვის, არამედ დაწესებულების საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და სოციო-კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებისთვის. სკოლის ინფრასტრუქტურის ფარგლებში ფუნქციონირებს სააქტო დარბაზი, რომელიც წარმოადგენს მრავალფუნქციურ პლატფორმას სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობების, საინფორმაციო შეხვედრების, სასკოლო სპექტაკლებისა და საზეიმო ღონისძიებების მასპინძლობისთვის. სოციო-კულტურული აქტივობების

მართვასა და მოსწავლეთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სრულად რეაბილიტირებული, მდიდარი წიგნადი ფონდით უზრუნველყოფილი სასკოლო ბიბლიოთეკა, რომელსაც გააჩნია ვრცელი სამკითხველო დარბაზი(რბილი ავეჯით, პუფებით)და რომელიც ღიაა საჯარო დისკუსიების, ლიტერატურული სადამოებისა და კლუბური მუშაობის ორგანიზებისთვის. სათემო კავშირების გაძლიერებას, სასკოლო ცხოვრების საჯაროობასა და მართვის პროცესებში მშობლებისა თუ კანონიერი წარმომადგენლების ფართო ჩართულობას სამართლებრივად უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით №01-03/24 დამტკიცებული „მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რაც ხელს უწყობს სკოლის შიდა სივრცეების (მათ შორის სპორტული დარბაზისა და ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების) აქტიურ გამოყენებას ერთობლივი საგანმანათლებლო და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისკენ მიმართული ინიციატივებისთვის. ამგვარად, მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურული რესურსების, მოქმედი კოლეგიური ორგანოებისა (სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო) და მიზნობრივი საკომუნიკაციო სტრატეგიის ერთობლიობა ადასტურებს, რომ სკოლის გარემო სრულფასოვნად ემსახურება ერთიანი, ღია და დინამიური სოციო-კულტურული სივრცის განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შენობაში მოწყობილი რესურსოთახისა და დამონტაჟებული ლიფტის ფოტომასალა.
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და წესი (მუხლი 5, პუნქტი 1.4).
- სკოლის შიდა „შესაბამისობის გეგმა“ (ლიფტის მოდერნიზების ვადებისა და დაგეგმილი აქტივობების ნაწილში).
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან,
- სკოლის ტექნიკური დოკუმენტაცია
- სკოლის სააქტო დარბაზისა და ბიბლიოთეკის სივრცეებში ჩატარებული კულტურული, საინფორმაციო ან შემოქმედებითი ღონისძიებების ფოტომასალა.
- დირექტორის ბრძანება №01-03/24 — „სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგია) დამტკიცების შესახებ“.დირექტორის ბრძანება №01-03/28 — „სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“.
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა (არასაგაკვეთილო, კულტურული და სათემო აქტივობების კალენდრის ნაწილში).

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა გამართულია (სულ სკოლას გააჩნია 47 ერთეული კომპიუტერი, 6 პრინტერი, 7 პროექტორი) და სათანადოდ უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესების სრულფასოვან, უწყვეტ წარმართვას. ტექნოლოგიური რესურსების გეგმაზომიერ მართვასა და საგაკვეთილო პროცესში მათ მიზნობრივ ინტეგრაციას იურიდიულად აწესრიგებს სკოლის შიდა მარეგულირებელი ჩარჩო, კერძოდ, ოფიციალურად დამტკიცებული „კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი“. აღნიშნული დოკუმენტის პირველი და მეორე მუხლების შესაბამისად, კომპიუტერული ლაბორატორია ემსახურება სკოლაში საინფორმაციო მუშაობის ორგანიზებას, ქმნის პოზიტიურ სასწავლო გარემოს და ამდღებს სასწავლო პროცესის აკადემიურ დონეს, რაც მიზნად ისახავს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანად წარმართვას, ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევასა და მოსწავლეთა გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. წესის მესამე მუხლის თანახმად, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით სარგებლობა ეფუძნება მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ფუნდამენტურ პრინციპებს, რაც გარანტირებს, რომ ლაბორატორია თანაბრად არის ხელმისაწვდომი სკოლის ყველა მოსწავლისთვის. მატერიალური აქტივებისა და სასკოლო ქონების დაცვის მიზნით, დოკუმენტის მეოთხე მუხლი მკაცრად არეგულირებს ლაბორატორიაში არსებული ინვენტარის უსაფრთხოებას, კრძალავს

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის სრულად არის ხელმისაწვდომი და ეფექტურად ფუნქციონირებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება, რაც მიზნად ისახავს მათ დახმარებას მომავალი პროფესიის გააზრებულად შერჩევასა და სწორი საგანმანათლებლო გზის პოვნაში. დამრიგებლები „დამროგებლის საათის“ ფარგლებში რეგულარულად ესაუბრებიან ბავშვებს პროფესიულ არჩევანზე, უგეგმავენ მიზნობრივ ექსკურსიებს. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა პროფესიულ, უმაღლეს საგანმანათლებლო და სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რათა მოსწავლეებს მისცეს ამომწურავი ინფორმაცია არსებული შესაძლებლობების შესახებ. პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და პრაქტიკული უნარების გაცნობის მიზნით, სკოლა მჭიდროდ პარტნიორობს სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღასთან“, ხოლო აკადემიური უმაღლესი განათლების მიმართულებით მოსწავლეებისთვის რეგულარულად ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები და კონსულტაციები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, სკოლაში აქტიურად ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტი „ჩვენი ჯარი“, რომლის ფარგლებშიც სამხედრო მოსამსახურეები პირადად სტუმრობენ მაღალმთიანი აჭარის ამ რეგიონულ კერას, მოსწავლეებს აცნობენ სამხედრო ისტორიას, თავდაცვის ძალების როლს, პატრიოტულ ღირებულებებსა და სამხედრო კარიერის, როგორც პროფესიული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების პერსპექტივებს. აღნიშნული კომპლექსური მიდგომები, საინფორმაციო შეხვედრები და პარტნიორული პროექტები მოსწავლეებს უქმნის მყარ საფუძველს საკუთარი ინტერესებისა და მიდრეკილებების უკეთ გასაცნობად, რაც სრულ შესაბამისობაშია მოსწავლის მხარდაჭერისა და კარიერული ორიენტაციის თანამედროვე სასკოლო სტანდარტებთან.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

- ##### 2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით



სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების) მუდმივ, სისტემატურ და დროულ ინფორმირებულობას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის (საბაზო და საშუალო) დასრულების შემდგომი კარიერული და აკადემიური განვითარების ალტერნატიული შესაძლებლობების შესახებ. სკოლის ადმინისტრაცია, დამრიგებლები და კარიერულ ორიენტაციაზე პასუხისმგებელი პირები აქტიურად იყენებენ კომუნიკაციის სხვადასხვა არხს, მათ შორის საინფორმაციო შეხვედრებს, მშობელთა კრებებსა და ელექტრონულ პლატფორმებს, რათა დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდონ უახლესი და სრულად სანდო მონაცემები ეროვნული გამოცდების, პროფესიულ კოლეჯებში რეგისტრაციის ვადებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე. პარტნიორ ორგანიზაციებთან, კერძოდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღასთან“ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან (პროექტ „ჩვენი ჯარის“ ფარგლებში) თანამშრომლობით, სკოლაში რეგულარულად ტარდება საინფორმაციო-საკონსულტაციო ხასიათის პრეზენტაციები, სადაც მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ განახლებული გზამკვლევები, საინფორმაციო ბუკლეტები და ცნობარები. ეს მიდგომა ხელს უწყობს ოჯახებისა და სკოლის ერთობლივ, გაცნობიერებულ ჩართულობას მოსწავლის მომავალი პროფესიული ორიენტაციის პროცესში, გამორიცხავს დეზინფორმაციას და ქმნის საიმედო მხარდამჭერ გარემოს, რათა თითოეულმა კურსდამთავრებულმა გააკეთოს საკუთარ ინტერესებსა და მიდრეკილებებზე მორგებული სწორი, რაციონალური კარიერული არჩევანი.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვა პირდაპირ ეფუძნება გაწეული საქმიანობის სისტემური შეფასების შედეგებს. ადმინისტრაცია ყოველწლიურად აწარმოებს კურსდამთავრებულთა სტატისტიკურ აღრიცხვას და სწავლობს, თუ რამდენმა მოსწავლემ გააგრძელა სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში, პროფესიულ კოლეჯებში ან დასაქმდა თავდაცვის ძალებში, მიღებული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და პირდაპირ აისახება მომავალი სასწავლო წლის სტრატეგიულ მიზნებსა და სამუშაო გეგმებში, რაც უზრუნველყოფს კარიერული ორიენტაციის სერვისების მუდმივ მოდერნიზაციას, აქტუალობასა და მაქსიმალურ თავსებადობას მოსწავლეთა რეალურ მოთხოვნებთან.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომლობის მემორანდუმები ან ოფიციალური წერილები კოლეჯ „ახალ ტალღასთან“ და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან [1].
- კოლეჯისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების ოქმები ან ფოტომასალა.
- პროექტ „ჩვენი ჯარის“ ფარგლებში სამხედროების სტუმრობის, ლექცია-სემინარების ჩატარების ასახველი ფოტოები, საინფორმაციო ანგარიში ან სკოლის სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტის ბმული.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სსსმ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებული და ეფექტურად ფუნქციონირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის, მათი მხარდაჭერისა და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მყარი ინსტიტუციური მექანიზმი. სკოლაში ირიცხება 4 სსსმ მოსწავლე, რომელთა საუკეთესო ინტერესების, ინდივიდუალური საჭიროებებისა და აკადემიური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მოქმედებს კვალიფიციური ადამიანური რესურსი სერტიფიცირებული სპეციალური მასწავლებლისა და სსსმ პირის ასისტენტის სახით. ინკლუზიური განათლების მართვის მექანიზმი ეფუძნება მულტიდისციპლინურ მიდგომას, რაც სამართლებრივად მტკიცდება სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (N 01-03/37) თითოეული სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების მიზნით სპეციალური სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ. აღნიშნული სამუშაო ჯგუფები უზრუნველყოფენ პროცესის კომპლექსურ მართვას, სადაც კოორდინირებულად არიან ჩართულნი კლასის დამრიგებელი, როგორც ჯგუფის კოორდინატორი და თავმჯდომარე, სპეციალური მასწავლებელი მდივნის სტატუსით, საგნობრივი მასწავლებლები და, რაც მთავარია, მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ეს მექანიზმი გარანტს ქმნის, რომ თითოეული სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესი, ადაპტაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი წარიმართოს საქართველოს კანონმდებლობის, ეროვნული სასწავლო გეგმისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის მოთხოვნების სრული დაცვით.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს



2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლაში თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წინსვლის, სოციალიზაციისა და აკადემიური განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინირებული ჩართულობის პრინციპებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში უზრუნველყოფილია მრავალპროფილური გუნდის ერთობლივი მუშაობა, რაც სამართლებრივად გამყარებულია სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფების სტრუქტურით. აღნიშნულ პროცესში წამყვან როლს ასრულებს კლასის დამრიგებელი, როგორც ჯგუფის თავმჯდომარე და კოორდინატორი, რომელიც მუდმივ კავშირშია სერტიფიცირებულ სპეციალურ მასწავლებელთან, სსსმ პირის ასისტენტთან და ყველა საგნის პედაგოგთან, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურ მოდიფიკაციასა და აკომოდაციას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, როგორც ისგ ჯგუფის სრულუფლებიანი წევრის, აქტიურ ინტეგრაციას, რაც უზრუნველყოფს სკოლისა და ოჯახის ერთიანი მიდგომების სინქრონიზაციას ბავშვის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ინფორმაციის მუდმივი გაცვლა, რეგულარული სამუშაო შეხვედრები და დასახული მიზნების გარშემო გუნდური პასუხისმგებლობის განაწილება ქმნის პოზიტიურ, ინკლუზიურ და მხარდამჭერ გარემოს თითოეული სსსმ მოსწავლის პოტენციალის მაქსიმალური რეალიზებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება N 01-03/37 (ისგ სამუშაო ჯგუფის მრავალპროფილური შემადგენლობის შესახებ).

- ისგ ჯგუფის სამუშაო შეხვედრების ოქმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელი მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში ეფექტურად მოქმედებს მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დანერგილია მართვისა და კონტროლის მკაფიო ადმინისტრაციული მექანიზმები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების საფუძველზე, ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის პედაგოგი, რომელსაც ყოველდღიური კონტროლისა და სამუშაოზე გამოცხადების სპეციალური აღრიცხვის ჟურნალის წარმოება ევალება. აღნიშნული გარემოებები სრულად ადასტურებს, რომ სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროცესის ორგანიზებას, მუდმივ მონიტორინგსა და უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში არ ხორციელდება ფასიანი ან სხვა სახის კომერციული მომსახურება, ხოლო დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის სერვისის სახით მოსწავლეებს მიეწოდებათ მხოლოდ სასკოლო ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფასო მომსახურება. აღნიშნული სერვისი სრულად ეფუძნება ნებაყოფლობითობის პრინციპს და მისი გამოყენება ხდება მხოლოდ მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა პირადი სურვილისა და წერილობითი მომართვის საფუძველზე. ტრანსპორტირების მარშრუტები, პირობები და ორგანიზების საკითხები წინასწარ არის განხილული და შეთანხმებული სკოლის მართვის კოლეგიალურ ორგანოსთან — სამეურვეო საბჭოსთან, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და მოსწავლეთა ინტერესების დაცვას. ეს მომსახურება პირდაპირ ემსახურება მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობას, ვინაიდან უზრუნველყოფს განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, გეოგრაფიული ბარიერების დაძლევას და მოსწავლეთა უსაფრთხო, შეუფერხებელ გამოცხადებას სასწავლო პროცესზე.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს



3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

ვინაიდან მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მომსახურება ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და სკოლის მხრიდან არ მოითხოვს სპეციალური ლიცენზიის ან ნებართვის მოპოვებას, აღნიშნული სერვისის მიწოდება სკოლის მიერ ორგანიზებულია უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების მკაცრი დაცვითა და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მოსწავლეთა ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების გარანტირებისთვის, სკოლის დირექციის მიერ გამოცემულია სპეციალური სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც გამოყოფილია ტრანსპორტირების პროცესის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი სკოლის პედაგოგიური პერსონალიდან. პასუხისმგებელი პირი ყოველდღიურად ახორციელებს ტრანსპორტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის გრაფიკის კონტროლს სპეციალური აღრიცხვის ჟურნალის (ტაბელის) მეშვეობით და ნებისმიერი დარღვევის ან რისკის გამოვლენისთანავე უზრუნველყოფს დირექციის დაუყოვნებლივ ინფორმირებას. აღნიშნული პრევენციული და საზედამბედველო მექანიზმები ემსახურება მგზავრობის პროცესში შესაძლო საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანას, მძღოლის მიერ უსაფრთხოების წესების დაცვის კონტროლს და სრულად პასუხობს მოსწავლეთათვის უსაფრთხო და მზრუნველი სასკოლო გარემოს შექმნის სტანდარტს.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სატრანსპორტო ტაბელები
- სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის დაბა ხულოს საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N 01-03/40. 22 ნოემბერი, 2019 წელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც წარმოდგენილია სავალდებულო თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები, საკითხები და სასწავლო რესურსები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და საგნობრივ სტანდარტთან თანხვედრაშია. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებისა და მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების თანამშრომლობითა და წინა სემესტრის გამოცდილების გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისად შეარჩიეს შემოქმედებითი ტიპის დავალებები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობითა და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ



კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია კათედრის ყველა წევრი. კათედრაზე პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. მათ აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რის საფუძველზეც იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული კურიკულუმი. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კათედრებმა/მასწავლებელთა ჯგუფებმა შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები. სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით კურიკულუმი გაზიარებული იქნება და ხელმისაწვდომი გახდება სასკოლო საზოგადოებისთვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმს და ისინი ინფორმირებულნი არიან მის შესახებ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს კურიკულუმის მშობლებთან გაზიარების მტკიცებულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;

საგნობრივი კურიკულუმები;

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;



1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამიზნე ცნებები და საკითხები შეესაბამება დასამუშავებელი თემების ფარგლებს. თემების შესწავლის პროცესში მუშავდება საგნისთვის განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება შესაბამისი მოცულობით, რასაც უზრუნველყოფს შუალედური მიზნების სახით დაგეგმილი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე ორიენტირებული დავალებები, STEM აქტივობები და სხვადასხვა სასწავლო პროექტები. აღნიშნული აქტივობები ხორციელდება სავალდებულო თემების შესაბამისი საკითხების დამუშავების გზით. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და სკოლის პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ შესასრულებელი დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს/მზაობას, რაც ხელს უწყობს მრავალფუნქციური უნარების განვითარებას და შესწავლილი მასალის პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენებას. სასწავლო თემების დასამუშავებლად განსაზღვრულია სავარაუდო აკადემიური საათების რაოდენობა. მცირე უზუსტობა გამოვლინდა ბუნებისმეტყველების III და IV კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილ სავალდებულო თემებთან დაკავშირებით, თუმცა კონსულტაციის პროცესში აღნიშნული საკითხი მასწავლებლებმა დროულად დააზუსტეს და შეასწორეს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
-----------------------------------	---



საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები (სამივე საფეხური) უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. . პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით შუალედური მიზნები ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს, შესაძლებლობებს, ცოდნას და არსებულ მოცემულობას . სასწავლო მასალა, ფაქტობრივი ინფორმაცია, და თემა განიხილება, როგორც კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღმისეულად გაიაზროს იდეა . რჩევა: სასურველია შუალედური სასწავლო მიზნების ჩარჩო/კურიკულუმებში (სამივე საფეხური) უფრო დაზუსტებული და გაწერილი იყოს შემოქმედებითი დავალებების პირობები (რა უნდა შექმნას მოსწავლემ, როგორ, რა მასალით და რა კრიტერიუმებით ფასდება, პროდუქტი, შესრულების ნაბიჯები, გამოყენებული მასალა). ინდიკატორი N2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს. მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებები და ენობრივი შესაძლებლობები, ხოლო შერჩეული თემები მიზნად ისახავს ენობრივი უნარების თანმიმდევრულ განვითარებას. კურიკულუმში ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს ცოდნის ყველა კატეგორიის გააქტიურებას და უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის სიღრმისეულ გააზრებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ასევე მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვის მნიშვნელობა. მათ აქვთ მზაობა, შექმნან მიზნობრივი, მოსწავლეზე ორიენტირებული და სტიმულირებელი სასწავლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და მრავალმხრივი უნარების განვითარებას. ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.



ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმი ერთიანობაში ორიენტირებულია მოსწავლის უნარების მაქსიმალურ გამოვლენასა და განვითარებაზე. სასწავლო პროცესი თანამიმდევრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ, რაზედაც მეტყველებს ესთეტიკის კათედრის მიერ შემუშავებული მუსიკისა და სახვითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმები; ინდიკატორი შეესაბამება რჩევა - (ეხება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანს) საჭიროა კორექციის შეტანა ხელოვნების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში. სასურველია, დაზუსტდეს თუ რა ქვეცნებებს ამუშავებს პედაგოგი თემის ფარგლებში. მესამე კლასის ხელოვნების კურიკულუმში არ არის გამოკვეთილი თემატური ბლოკები. მოკლედ, რჩევის სახით, ზუსტად უნდა იყოს დაცული კორელაცია თემატურ ბლოკს, თემებს, არჩეულ დავალებას შორის. გამოკვეთილად ჩანდეს რა ცნებები და ქვეცნებები მუშავდება კონკრეტული დავალების ფარგლებში. იგივე ეხება ამავე საგნის საბაზო საფეხურის სახვითი ხელოვნების კურიკულუმებს. ინტერვიუს შემდეგ პედაგოგის მიერ გადმოგზავნილ იქნა კურიკულუმების შესწორებული ვერსიები, სადაც გათვალისწინებულ იქნა ჩემს მიერ მიცემული რეკომენდაციები. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად იკვეთება, რომ სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმები სკოლის სამივე საფეხურზე ორიენტირებულია მოსწავლეზე და შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს აუცილებელ კომპონენტებს. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს.



	საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გვიჩვენებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე. სწორი აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად გამოყენებულ დავალებებზე, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
მათემატიკა	სკოლის მიერ მოწოდებული სასწავლო კურიკულუმები არის იმ ფორმით შემუშავებული, რომ მოსწავლე ჩართული იყოს სასწავლო პროცესში შეეძლოს თემების იმ ფორმით შესწავლა რომელიც მას დაეხმარება, განივითაროს საგნობრივი საკითხები და ფუნქციური უნარები, ამასთან დიფერენცირებული სწავლების პრინციპები იყოს ადაპტირებული. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე კლასებისთვის შემუშავებულია და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც სეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ე.ს.გ სტანდარტებს. ინდიკატორის მოტხოვნები დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შინაარსი მიჰყვება ეროვნული გეგმის სტრუქტურას და მოიცავს თანამედროვე



	თემებს: ციფრული წიგნიერება, ინტერნეტ უსაფრთხოება, Scratch პროგრამირება, PowerPoint პრეზენტაცია და სხვა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი და შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განვითარებას. შემოქმედებითი ტიპის დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ-ის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების (სამიცნე ცნებები) სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, სასწავლო პროექტებით, გამოსაყენებელი ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსებით. ამკარად იკვეთება მზაობა სტანდარტის შედეგების მიღწევის. აქვე აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კეთებით სწავლებაზე დაფუძნებული აქტივობებით, რაც თვალნათლივ იკვეთება, როგორც დოკუმენტურ მასალებში ასევე სკოლის სივრცეში თვალსაჩინოდ განთავსებული შექმნილი პროდუქტებით.
--------------------------------	---



	ხორციელდება მარტივი კვლევითი სამუშაოების შესრულება სკოლის ბაზაზე არსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის რესურსების გამოყენებით. ხოლო უსაფრთხო კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოების განხორციელებისთვის სასკოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია საჭიროებს ცეცხლგამძლე მაგიდის, სველი წერტილის და გამწოვი კარადის გაკეთება/მოხმარებას. აღნიშნული მდგომარეობის მიხედვით სკოლა იღებს ვალდებულებას უსაფრთხოების კუთხით უახლოეს მომავალში დააკმაყოფილოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველადი ავტორიზაციის მე-3 სტანდარტის მოთხოვნები. მოსწავლეები გარდა სასკოლო/საგაკვეთილო პროცესისა მარტივ კვლევით სამუშაოებს ასრულებენ შინ, სახლის პირობებშიც საჭირო უსაფრთხოების წესების დაცვით, რაც დასტურდება სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს STEM მიმართულების პროექტებით სწავლება შესაბამისი STEM სწავლებისთვის საჭირო რესურსების გამოყენებით. იკვეთება, რომ მოსწავლეებისთვის არის სასწავლო გარემო სკოლაში არსებული მატერიალური რესურსების ფონზე, რომ მათ განივითარონ შემოქმედებითი, კომუნიკაციის, სოციალური, შესაძლებლობის ფარგლებში კვლევითი და სხვა უნარები. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები (სამივე საფეხური) ზოგადად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებსა და მიზნებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვუს დროს ნათელი გახდა, რომ თემატური მიმართულებები და სასწავლო აქტივობები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიზისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. გრძელვადიანი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს დანერგვის ეფექტური ინსტრუმენტები



	შემოქმედებითი ტიპის დავალებები აღქმულია, როგორც გლობალური, ფუნქციური უნარების განვითარებისა და პოზიტიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის საშუალება. რჩევა: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში (სამივე საფეხური) უფრო კონკრეტულად იყოს წარმოდგენილი ქვეცნებები და მოკლევადიანი მიზნების განხორციელების პროცესი ინდიკატორი N2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებსა და სწავლა-სწავლების პრინციპებს. უცხოური ენების სასწავლო კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან შედეგებზე და ეყრდნობა მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. პრიორიტეტი ენიჭება შემოქმედებით დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს უნარების, ცოდნისა და ღირებულებების ინტეგრირებულ განვითარებას. დოკუმენტებში აღწერილი შუალედური და გრძელვადიანი მიზნები უზრუნველყოფს ისეთი სწავლების დაგეგმვას, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესრულებას და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებისკენ. კურიკულუმი ქმნის პირობებს სასწავლო შედეგების მიღწევისა და მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებისათვის. ინდიკატორი შეესაბამება



სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლის სამივე საფეხურზე მოქმედი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი დავალების იდეით ჩანს, რომ კურიკულუმში ემსახურება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, კონკრეტულად თუ რომელ გრძელვადიან მიზნებს მიემართება მათ მიერ წარმოდგენილი დავალებები სამივე საფეხურზე ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
მათემატიკა	მოწოდებული კურიკულუმები პასუხობს ესგ-ის მიზნებს და ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე. კომპლექსური დავალებების მეშვეობით ხდება ცოდნის სიდრმისეული რეალიზება, რაც ამზადებს მოსწავლეებს უმაღლესი განათლებისა და პროფესიული თვითგამორკვევისთვის. ინდიკატორი შეესაბამება
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



ტექნოლოგიები	კურიკულუმის შინაარსი მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურას — გათვალისწინებულია ციფრული წიგნიერება, მოქალაქეობა, პროგრამირება, მულტიმედია, ინტერნეტ-უსაფრთხოება და სხვა თემები. გამოყენებულია აქტუალური ციფრული პლატფორმები (Scratch, PowerPoint, School.emis.ge) ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები. რჩევა - სასურველია, კათედრამ, ქართული ენის საგნობრივი მიმართულებით, კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; საკითხი და დავალების იდეა ერთსა და იმავეს წარმოადგენს, ასევე, საკითხთა კლასტერი და მაგალითები შედარებისთვის არ არის საჭირო. ბუნებისმეტყველების საგნობრივი მიმართულებით კურიკულუმებში აისახოს სახელმძღვანელოს ავტორები. ესგ-ს სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ცნებები დაზუსტდეს, თითოეულ თემაში აისახოს ყველა სამიზნე ცნება. ასევე, თემები და საკითხები დაზუსტდეს კლასების მიხედვით, საათების რაოდენობა, უმჯობესია, თემასთან განისაზღვროს, ვიდრე, დავალების იდეასთან. სასურველია, კურიკულუმებს თანდართული ჰქონდეს შესასრულებელი დავალების ბარათები და ამ კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით.



	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
--	-----------------------------

2. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში სკოლის არჩევით წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო რესურსები გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების სახით, ასევე საგნის სპეციალისტების მიერ შერჩეული დამატებითი სასწავლო რესურსები სხვადასხვა ფორმატით: ვიდეო რესურსი, სამეცნიერო ლიტერატურა, ცენტრის მიერ ლიცენზირებული საგნობრივი შინაარსის სახელმძღვანელოები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განკუთვნილი რესურსები: სქემები, პლაკატები, მოდელები, მუდმივი პრეპარატები, სხვადასხვა თვალსაჩინოებები, ქიმიური რეაქტივები. ელექტრო მაგნიტური რესურსები, STEM პროექტებისთვის საჭირო მასალები და სხვა. ამ ეტაპზე იკვეთება უსაფრთხოების წესების დაცვა მარტივი კვლევების ჩატარებისთვის შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით. აშკარად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მათი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე, რასაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებული, სკოლაში არსებული მრავალფეროვანი რესურსების და სასწავლო მასალის შეთავაზება, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. თუმცა საბუნებისმეტყველო სასწავლო ლაბორატორიის მატერიალური რესურსები ნაწილობრივ უზრუნველყოფს ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიის,
--------------------------------	--



	ფიზიკის საგნების სასწავლო პროცესის კვლევითი/ ექსპერიმენტული დავალებების შესრულებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის კურიკულუმებში მითითებული ძირითადი სასწავლო რესურსები - გრიფირებული სახელმძღვანელოები , ელექტრონული რესურსი ბმულებით, შეესაბამისობაში მოდის დაგეგმილ აქტივობებსა და მიმდინარე დავალებებთან, რომლებიც საშუალებას იძლევა სწავლის შედეგების მიღწევას. რჩევა: სასურველია ელექტრონული რესურსების ხელახლა გადახედვა ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, კათედრა ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოსა და მასთან დაკავშირებულ კომპონენტებს (სამუშაო რვეული, აუდიომასალა, პოსტერები, ქარდები), რაც უზრუნველყოფს საგნობრივი მიზნების მიღწევას. დამატებით წარმოდგენილია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რომლებიც შერჩეულია მიზნობრივად და უწყობს ხელს ეფექტურად სასწავლო შედეგების მიღწევას. ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში სასწავლო რესურსად განსაზღვრულია სახელმძღვანელოები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დამხმარე ელექტრონული რესურსები (მასალები). ასევე მოცემულია სხვადასხვა მოწყობილობებით ანიმაციური, აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენების დამადასტურებელი ფოტო მასალა, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ინტერვიუს შემდეგხელოვნების და მუსიკის პედაგოგების მიერ გადმოიგზავნა კიდევ დამატებითი რესურსები, რომელსაც საგაკვეთილო პროცესში იყენებენ



	ინდიკატორი შეესაბამება
სახელმწიფო ენა	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; შესაბამისი რესურსებით, ონლაინ და მატერიალური რესურსების გამოყენებით სწავლების სამივე საფეხურზე. ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
მათემატიკა	კურიკულუმში ძირითადად აღნიშნულია ლინკების სახით ვიდეო რესურსები, ასევე ყურადღება არის გამახვილებული სახელმძღვანელოზე, თუმცა სხვა საჭირო რესურსების შესახებ მწირი ინფორმაციაა. რჩევა: სასურველია რესურსების მრავალფეროვნებაზე აქცენტის გაკეთება უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური სტანდარტის გარემოს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლებისთვის მომზადების ეტაპზე. ინდიკატორი შეესაბამება
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის



	აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	დაგეგმილია რესურსების გამოყენება: კომპიუტერი, პროექტორი, პროგრამები Scratch.mit.edu, PowerPoint, ონლაინ პლატფორმა School.emis.ge. რესურსები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს შედეგზე ორიენტირებული, პრაქტიკული სწავლის გამოცდილება. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე-დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს



საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ინკლუზიური განათლების კუთხით სკოლას აქვს შესაძლებლობა წარმატებით განახორციელონ სასწავლო პროცესი ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით. დიფერენცირებული სწავლება საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებისთვის განვითარების პროცესშია და იკვეთება რომ გააუმჯობესებენ მომავალში. მასწავლებლებთან საუბრისას აშკარად გამოიკვეთა აღნიშნულის ირგვლივ მათი მზაობა დიფერენცირებული დავალებების შექმნისა და გამოყენების კუთხით. ისინი მტკიცებით ფორმაში აღნიშნავენ, რომ გარდა არსებული დიფერენცირებული დავალებებისა სხვა ტიპის დავალებებს შეიმუშავენ და გამოიყენებენ მოსწავლეთა მზაობის და საჭიროების შესაბამისად. ასევე იკვეთება რომ მოსწავლეთა ინტერესისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით ჩატარებული აქვთ სხვადასხვა ექსპერიმენტული და პრაქტიკული სამუშაოები, შექმნილია მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით შემოქმედებითი პროდუქტები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას, მათი შესაძლებლობის გამოვლენას, შექმნილი პირობებისა და მიწოდებული დავალებების შესაბამისად მიიღონ სრულფასოვანი და მათი შესაძლებლობის ადელკვატური განათლება საბუნებისმეტყველო საგნებში. ინდიკატორი შესაბამისობაშია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა ,რომ სასწავლო პროცესში დანერგილია დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრინციპები. სკოლა აცნობიერებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობას . აღნიშნული ჰოლისტური მიდგომები აღწერილია უფრო მკაფიოდ ზოგად მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში, ვიდრე წარმოდგენილ კურიკულუმებში. ჰოლისტური მიდგომების რეალიზების გზები ნაკლებადაა ასახული შუალედური მიზნების განხორციელების პროცესში.



	რჩევა : სასურველია, სწავლების დიფერენცირებული მიდგომა უფრო მკაფიოდ აისახოს წარმოდგენილ კურიკულუმებში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლის შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მისთვის ეფექტური საშუალებით. ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
უცხოური ენები	კურიკულუმებში წარმოდგენილი გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, თემები და კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს დიფერენცირებულ და პოზიტიურ სასწავლო გარემოზე ორიენტირებულ პროცესს. დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ინტერვიუმ ცხადყოფს, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული და დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლის უნიკალურ საგანმანათლებლო პროფილს, მათ შორის წინარე ცოდნას, სწავლის სტილსა და მოტივაციას. ინტერვიუების მიხედვით, კათედრის წევრები სრულად იცნობენ კომპლექსური დავალებების მნიშვნელობას, მოსწავლის ავტონომიისა და თვითრეგულაციის განვითარების პროცესში, და მზად არიან განახორციელონ თემატური მატრიცების ადაპტაცია საჭიროების შესაბამისად. მთლიანობაში, მასწავლებლებს გააჩნიათ კომპეტენცია და მზაობა, დაგეგმონ დიფერენცირებული სასწავლო აქტივობები, რომლებიც ეფუძნება ინდივიდუალური განსხვავებების ანალიზს და მიზნად ისახავს სწავლაში ხელშეწყობი გარემოს შექმნას. ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სასწავლო პროცესი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე, ინკლუზიურია და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აღნიშნული მიდგომები ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში.



	ინდიკატორი შეესაბამება
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რომელშიც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლის მიდგომებს. სკოლის მესვეურთა და საგნობრივი კათედრის მიერ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს სამივე საფეხურზე. საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. სახელმწიფო ენის კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე. ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების აღსაწერად. შემოქმედებითი დავალებები ორიენტირებულია ინკლუზიურობაზე, რაც აკადემიური მიზნების მიღწევის გარანტიაა. რჩევა: კათედრაზე განხილულ იქნას მოსწავლეთა მიღწევების ანგარიშები, რათა რესურსების შერჩევა მოხდეს კონკრეტული აკადემიური საჭიროებების გათვალისწინებით. ინდიკატორი შეესაბამება



სპორტი	სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები არის წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. სკოლას აქვს ადაპტირებული კალათბურთის კარი, ამას ადასტურებს პედაგოგების მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შუალედური მიზნების დასახვა, განმავითარებელი შეფასება და თვითშეფასება. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია, (ისგ და ალტერნატიული სასწავლო გეგმები), სადაც გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, გაწერილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. წარმოდგენილია ადაპტირებული დავალებები. ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს



საბუნებისმეტყველო
მეცნიერებები

სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების სამ კომპონენტიანი (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და განმავითარებელი შეფასების სისტემები. თითოეული ტიპის შეფასება ხდება წინასწარ ფორმულირებული, სტანდარტის შედეგებზე/სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული და შესასწავლი თემის, საკითხის შინაარსობივ კონკრეტიკაზე დაყრდნობით, შეფასების კრიტერიუმებით.

ერთმნიშვნელოვნად იკვეთება, რომ განმსაზღვრელი შეფასებისას კრიტერიუმების ფორმულირებისას გამოყენებულია სტანდარტის შედეგები, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების ფორმულირებისას სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები.

შეფასება ხდება ესგ-ის პრინციპების შესაბამისად, დაწყებითში განმავითარებელი შეფასება მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით, ხოლო მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან ყველა კლასში მოსწავლეები ფასდება, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. საგნების მიხედვით შექმნილი აქვთ და წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც არის ზოგადი (ყველა საგანში გამოსაყენებელი).

გასაუბრების შემდეგ გაცემული რეკომენდაციების შემდეგ მასწავლებლებმა შექმნეს როგორც კონკრეტული განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

ასევე შემაჯამებელი სამუშაოს ტესტურ დავალებებში 1, 2 და 3 ქულა რა დატვირთვით იწერება განმარტებულია მოსწავლისთვის.

შეფასებისას მასწავლებლები იყენებენ რემედიაციას, რომლის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა ცოდნის გაუმჯობესება, უნარების განვითარება და რიგი შემაჯამებელი დავალებების თანხვედრილად გასაუბრების დროს გაცემული რეკომენდაციის შედეგად წარმოადგინეს რემედიაციის გეგმა სხვადასხვა საგნებში. აქვე რეკომენდაციის სახით მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ თითოეული რემედიაციის შემდეგ მოსწავლემ მარტივი ნაშრომის სახით წარმოადგინოს რემედიაციის საფუძველზე განმტკიცებული ცოდნა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.



საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ ჩარჩო/კურიკულუმებში (სამივე საფეხური) შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორიენტირებით, თუმცა ნაწილობრივ ზოგადია. ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ შეფასების ინსტრუმენტები, ითვალისწინებს საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს რჩევა: სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (სამივე საფეხური) გადაიხედოს და უფრო დაიხვეწოს შინაარსობრივი სიზუსტით. შეფასების რუბრიკებში უფრო კონკრეტულად და ნათლად იყოს ასახული, შეფასების აღმწერი კრიტერიუმები ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
უცხოური ენები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და მოიცავს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებების რუბრიკებს. ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს და ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესის მუდმივ მონიტორინგს, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და სწავლის პროცესზე მორგებულ უკუკავშირს. ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა სასწავლო პროცესის ორგანულ ნაწილადაა მოაზრებული, რომლითა მეშვეობითაც მოსწავლესთან ეფექტური უკუკავშირი მყარდება, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასებაც, ასევე განმავითარებელი შეფასებისას ეყრდნობიან საკმაოდ კონსტრუქტიულ პრინციპებს. ინდიკატორი შეესაბამება რჩევა- სასურველია კარგად დამუშავდეს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ჩანდეს ორიენტაცია კონკრეტულ



	საფეხურის(დაწყებითი)ცნებებსა და ქვეცნებებზე.ეხება მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმებს). ინდიკატორი შეესაბამება
სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის სწავლებისას. სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმებში კათედრის მიერ შემუშავებულია დავალებები შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. საგნობრივი კურიკულუმები გვიჩვენებს, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლასა და მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგების მიერ აღინიშნა, რომ .სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს აგრეთვე მათ მიერ დაგეგმილი დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე - ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან წარმართვას. ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
მათემატიკა	შეფასების მექანიზმი თანხვედრაშია ეროვნულ სტანდარტებთან და უზრუნველყოფს აკადემიური მიღწევების ობიექტურ ასახვას, რაც კრიტიკულია უმაღლესი განათლებისთვის მომზადების ეტაპზე. რჩევა: მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკების დახვეწა, და მაქსიმალურად კონკრეტული უნდა გახდეს რუბრიკის ინდიკატორები.



	ინდიკატორი შეესაბამება
სპორტი	სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება. რჩევა: სასურველია, კურიკულუმებს, ოთხივე საგნობრივი მიმართულებით, თანდართული ჰქონდეს შესასრულებელი დავალების ბარათები და ამ კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
--------------------------------------	--

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის უცხოური ენების (ინგლისური, რუსული, გერმანული) საგნობრივი კურიკულუმები;

2. მოსწავლის შეფასების ამსახველი დოკუმენტები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები)

3. სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.

4. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

6. ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა, მოსწავლეთა ნამუშევრები.~

7. კათედრის ოქმი.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

2. კათედრის ოქმი

3. საგნობრივი კურიკულუმები

4. შეფასების რუბრიკები

5. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად



საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო საგნებში (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) საგნობრივი კურიკულუმები შექმნილია კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით და წარმოადგენს სასკოლო კურიკულუმის ნაწილს. რაც ეფუძნება ესგ-ის მოთხოვნებს და საგნობრივ სტანდარტებს. პრიორიტეტულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნების მიღწევა, რაც უზრუნველყოფს საფეხურის შედეგის მიღწევას. ყოველივე ეს ნათლად არის გამოკვეთილი სასკოლო კურიკულუმის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების კურიკულუმებში. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გაცემული რეკომენდაციების შემდეგ წარმოდგენილი მასალები ნათელყოფს, რომ სასწავლო პროცესი მასწავლებლებს მიჰყავთ არსებული კურიკულუმების მიხედვით, რიგ შემთხვევებში მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით და მათი მოთხოვნების შესაბამისად უმატებენ აქტივობებს, სასწავლო რესურსებს, ან დაგეგმილს ამოიღებენ დღის წესრიგიდან, რაც ერთმნიშვნელოვანესად მოწმობს, რომ მასწავლებლები ეწევიან კურიკულუმის პოზიტიურ განვითარებას და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თანხვედრილად ხდება სხვადასხვა ინოვაციური, თუ სიახლეების დანერგვა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. ასევე იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად მიმდინარეობს შეფასება, სასწავლო პროექტების/არაფორმალური განათლების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება. ინდიკატორი შესაბამისობაშია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ ჩარჩო/კურიკულუმებში (სამივე საფეხური) სასწავლო პროცესი ეფუძნება სასკოლო კურიკულუმს და მისი დაგეგმვა ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმებში აქტივობები გაწერილი არ იყო, პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა შემოქმედებითი მუშაობის მაგალითები. პედაგოგებმა ისაუბრეს განხორციელებულ სასწავლო და სათემო პროექტების მდგრადობაზე, სწავლა-სწავლების პრინციპების განხორციელებაზე, საგნობრივი სტანდარტის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს საგნობრივი კომპონენტების



	ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლებას . ისინი საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
უცხოური ენები	მასწავლებლებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით და დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი დინამიურად მოდიფიცირდება მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის მიზნობრივ ადაპტაციას და კურიკულუმის პერიოდულ განახლებას. რჩევა: კურიკულუმის გადასინჯვის დროს სასურველია კონტექსტ მაგალითები უფრო მკაფიოდ იყოს გადმოცემული და მოცემული იყოს ადეკვატური რაოდენობა. ასევე სასურველი ყველა ენაში კურიკულუმები გაწერილი იყოს ერთ ფორმატში. ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა ეფუძნება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სისტემურ და თანმიმდევრულ განხორციელებას. ინდიკატორი შეესაბამება.



სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი სკოლის სამივე საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის სასკოლო კურიკულუმში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით თემების ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკაფიოდ ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ვალიდურია და ეფუძნება კურიკულუმით განსაზღვრულ დონის შემოქმედებით აქტივობებს. დაგეგმვა ორიენტირებულია მოსწავლეთა ანალიტიკური და აკადემიური შედეგების მაქსიმალურ გამოვლენაზე. რჩევა: სასურველია პროცესის უფრო დახვეწისათვის კათედრის წევრებს შორის უნდა მოხდეს აქტიური შეხვედრები, რაც მასწავლებელს დაეხმარება სასწავლო პროცესი ააგონ კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. ინდიკატორი შეესაბამება
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სამივე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის



	საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	გაკვეთილები ეფუძნება სასკოლო კურიკულუმში აღწერილ შუალედურ მიზნებს, აქტივობებსა და რესურსებს. თითოეული სასწავლო თემა შეთანხმებულია სკოლის დოკუმენტაციასთან და ემსახურება მოსწავლის კომპეტენციების განვითარებას. ასევე, გათვალისწინებულია თემატური მატრიცების გამოყენება, კათედრის შეხვედრები და შეფასების ინსტრუმენტები. რჩევა:სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით დასაქმებული არასერტიფიცირებული მოწვეული მასწავლებლის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, მათ შორის სერტიფიცირების პროცესში ჩართვის ხელშეწყობა და უწყვეტი პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობა, რათა სასწავლო პროცესი კიდევ უფრო მეტად შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე



	დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები. ინდიკატორი შესაბამისობაშია. ვსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის
--	---

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა ცდილობს საგანმანათლებლო პროცესის გაანალიზებას და ოპტიმიზაციას გარემოებისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებების გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგიური გუნდის მხრიდან გამოვლენილ საჭიროებებზე სკოლა დროულად რეაგირებს.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან—განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუ მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი, ზეპირი კომენტარი, რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდება და თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს მიცემული რეკომენდაციებით საჭირო სიზუსტით მოახდინეს შეფასების რუბრიკების კორექტირება. თვალნათლივ სჩანს შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები მიემართება საგნობრივი სტანდარტის შედეგებისა და გრძელვადიანი მიზნებისკენ . გაწერილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმის აღწერილობა, რაც შეფასებას ხდის ვალიდურს, სამართლიანს და ობიექტურს. იკვეთება, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა, შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკები სხვადასხვა თემების შესაბამისად. სკოლაში ხორციელდება შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, მასწავლებლები აკეთებენ თვითრეფლექსიას, რაც პროცესს ორიენტირებულს ხდის შედეგზე. არაფორმალურ განათლება კავშირშია ფორმალურ განათლებასთან და მოსწავლეთა
--------------------------------	--



	საჭიროებებზე ორიენტირებით ხდება მოსწავლეთა შეფასება კომპლექსურად ფორმალური და არაფორმალური განათლების ანალიზით. პროცესში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. შეფასების რუბრიკები გაზიარებული აქვთ სასკოლო საზოგადოებასთან და მშობლებთან, რაც კიდევ უფრო ზრდის შეფასების გამჭვირვალობას. ინდიკატორი შესაბამისობაშია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, სჩანს, რომ შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებზე. გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. გასაუბრების დროს შედეგების ანალიზზე საუბრისას გამოიკვეთა, რომ შეფასების პროცესი გამჭვირვალეა, მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების მიღწევის გზებს რჩევა : სასურველია მიღწეული შედეგების გასაზომად ყველა საფეხურზე წარმოდგენილი იყოს უფრო დაზუსტებული დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები და კურიკულუმებში მკაფიოდ, შინაარსობრივი სიზუსტით სჩანდეს გრძელვადიანი მიზნები და ქვეცნებები . ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებულია საგნის სტანდარტზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ, სტრუქტურირებულ და მკაფიო შეფასებას. ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ



	მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასების მნიშვნელობა როგორც სწავლის მხარდაჭერის ინსტრუმენტი და იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს, მათ შორის ურთიერთ შეფასებას და თვითშეფასებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის რეფლექსიასა და პროგრესის მონიტორინგს. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლაში სამივე საფეხურზე ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა საკლასო და სასკოლო დონეზე შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში, ასევე ეხმარება მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გააუმჯობესოს მიღწევები. ინდიკატორი შეესაბამება.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლაში სამივე საფეხურზე ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა საკლასო და სასკოლო დონეზე შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში, ასევე ეხმარება მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გააუმჯობესოს მიღწევები. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს



მათემატიკა	მოწოდებული კურიკულუმები არის მიზანთან შესაბამისობაში მოყვანილი, მოსწავლეთა მიერ გასაგები და შეძლებისდაგვარად აღსაქმელი, თუმცა შაჭიროებს მეტ კონკრეტიკას და დეტალურ აღწერას, ამასთან მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შეფასებაზე. ინდიკატორი შეესაბამება
სპორტი	მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მომავალი შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შეფასებისას სხვადასხვა ინსტრუმენტებს იყენებენ, მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი. ყველა მოსწავლე ფასდება თანაბარ პირობებში. ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.



	ინდიკატორი შესაბამისობაშია. ა მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის
--	--

3. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი შეფასების რუბრიკები, რომელსაც იყენებენ 2025-2026 სასწავლო წელს შეფასებისათვის და სწავლის შედეგების გაზომვისა და გაანალიზების მიზნით. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები და სხვადასხვა ცნობები. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა თანამშრომელი იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს და აწვდის ყველა მოთხოვნილ მონაცემს ადმინისტრაციას. სკოლა ინახავს კანონით განსაზღვრული ვადით არსებულ მონაცემებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასების რუბრიკები;

საგნობრივი კურიკულუმები;

კათედრების ოქმები; შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი სასწავლო რესურსი: სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული მოსწავლის სახელმძღვანელო. ასევე დამატებითი სასწავლო რესურსები: ვიდეო მასალა. გარდა აღნიშნულისა მასწავლებლები იყენებენ სამეცნიერო ლიტერატურის ამონარიდებს, ცენტრის მიერ ლიცენზირებულ საგნობრივი შინაარსის ლიტერატურას, ინტერნეტ სტატიებს და სხვა სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ მასალებს, როგორცაა სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები (დამატებითი ლიტერატურა, სქემები, ფოტომასალა, მოდელები და სხვა). წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას გამოიყენება სწორედ ის სასწავლო რესურსები რაც კურიკულუმშია მითითებული და მასწავლებელი დამატებით მოიხმარს საჭიროებისამებრ სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას.. რჩევა: ყველა დამხმარე სასწავლო რესურსი, რაც მიზნობრივად შეიძლება იქნას გამოყენებული სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას სასურველია დაფიქსირდეს კურიკულუმში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებული ძირითადი რესურსი/ გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, შესაბამისი ელექტრონული რესურსები გამოყენებულია სასწავლო



	პროცესში გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. 2.2.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	კურიკულუმები აჩვენებს, რომ სწავლება ეფუძნება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მათ თანდართულ მასალებს (რვეულები, აუდიო ჩანაწერები, პოსტერები, ქარდები), რაც უზრუნველყოფს საგნობრივი მიზნების მიღწევას. გამოყენებულია ეფექტურად შერჩეული დამხმარე ელექტრონული რესურსებიც, რომლებიც სრულად უწყობს ხელს სასწავლო შედეგების მიღწევას. ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. აღნიშნული რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებასა და მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შეესაბამება.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმით სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი საბაზო და საშუალო) სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინრესურსები.



	ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
მათემატიკა	მათემატიკის სწავლების დროს გამოიყენება ძირითად შემთხვევაში ინტერნეტ რესურსები როგორც არის ხანის აკადემია, ტელესკოლა. სასურველი იქნება რესურსების მრავალფეროვნება იქნას ასახული კურიკულუმში. ინდიკატორი შეესაბამება
სპორტი	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია ის მატერიალური რესურსი (კომპიუტერული ლაბორატორია) რომელიც მითითებულია კურიკულუმებში. ასევე, საგანმანათლებლო რესურსიც (დამხმარე სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები) მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებით. ასევე, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამატებით მატერიალურ, აუდიო და ვიდეო რესურსებს. რესურსები მორგებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების



	აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
--	--

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მიმდინარე აქტივობების განხორციელებას შეესაბამებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს, რის მტკიცებულებასაც წარმოადგენს მათ მიერ შექმნილ კურიკულუმებში თემის შესაასწავლად დაფიქსირებული დამატებითი სასწავლო რესურსები, რომლებიც პასუხობს იმ მოთხოვნებს რასაც სტანდარტი ითხოვს მოსწავლეთა სწავლებისა და მათი განვითარებისთვის. წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსები აშკარაა აკმაყოფილებს იმას, რომ შეიქმნას სწორი პროდუქტი. მასწავლებლები ადასტურებენ, რომ საგნობრივი თემატიკის სწავლებისა და სტანდარტის შედეგის მისაღწევად დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად. მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა და უსადაგებენ განსახორციელებელ აქტივობებს, რომ მოსწავლემ მარტივად შეძლოს დავალების შესრულება და საჭირო დასკვნები გააკეთოს. რჩევა: სასურველია სკოლაში შეიქმნას დამხმარე რესურსების ვალიდაციისთვის საჭირო დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს რესურსების ვალიდაციის პროცესს და ვალდებულებასაც გაუჩენს მასწავლებლებს, რომ ერთობლივად, კვალიფიკაციის შესაბამისად
---------------------------------------	--



	მოახდინონ რესურსების შერჩევა/ვალიდაცია და გაუზიარონ კოლეგებს სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად. ინდიკატორი შესაბამისობაშია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან სჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის მექანიზმი. რესურსების შერჩევა და შეფასება ხდება კათედრაზე რამდენიმე კრიტერიუმით: შესაბამისობა სტანდარტთან, აკადემიური სანდოობა, ეთიკურობა და მეთოდოლოგიური გამართულობა სკოლა იღებს პასუხისმგებლობას იმ მასალების ხარისხზე, რომლებსაც მოსწავლეები ძირითადი სახელმძღვანელოების გარდა იყენებენ. რჩევა: სასურველია კათედრის მიერ გადასინჯული და განახლებული იყოს ციფრული /მულტიმედიური რესურსები, როგორც ენობრივად ისე ხანდაზმულობის თვალსაზრისით ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
უცხოური ენები	სკოლა აქტიურად ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევისა და შეფასებაში, რესურსების პრაქტიკულ ტესტირებას სასწავლო პროცესში, რეგულარულ მონიტორინგსა და განახლებას. ასევე, სკოლა იყენებს მოსწავლეთა და მშობლების უკუკავშირის რესურსების ეფექტურობის შესაფასებლად, რაც უზრუნველყოფს რესურსების შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან და ეფექტურ მხარდაჭერას სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს



ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. აღნიშნული რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებასა და მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შეესაბამება.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი მიმართულებით სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით თვალსაჩინოა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების გამოყენებას სასწავლო პროცესში. ეს დასტურდება გაკვეთილების შეფასების ფორმებითა და ანალიზით. ასევე ონლაინრესურსების, ანიმაციებისა და დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით. ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
მათემატიკა	სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები, რაც სრულად შეესაბამება მათემატიკის აკადემიურ მიზნებს. რესურსების ერთობლიობა ეხმარება მოსწავლეებს რთული ცნებების დაუფლებასა და შედეგების მიღწევაში. თუმცა სასურველი იქნება დამხმარე რესურსები სჩანდეს სკოლის კურიკულუმში. ინდიკატორი შესაბამისობაშია
სპორტი	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას.



	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში სრულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, კომპიუტერი, პროექტორი და საკლასო აღჭურვილობა. რესურსების გამოყენება რეგულარულად ხდება, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სწავლის შედეგების განხორციელებას და ხელს უშლის საგანმანათლებლო ხარვეზების წარმოქმნას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ვალიდაციის პროცესში ჩართულია კათედრის ყველა წევრი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რაც უზრუნველყოფს რესურსების მრავალმხრივ შეფასებას, ხარისხის კონტროლსა და გამოყენების მიზნობრიობას. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა ზრდის რესურსების სანდოობას და ეფექტიანობას სასწავლო პროცესში. ამასთან, პედაგოგები საჭიროების შემთხვევაში ახდენენ რესურსების ადაპტირებას კონკრეტული კლასის ან მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, მათ შორის სსმ მოსწავლეთათვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.



საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ამ ეტაპზე სკოლის ბაზაზე არსებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების სწავლებისთვის არსებული მატერიალური რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. ისინი ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლა აღნიშნავს, რომ უახლოეს პერიოდში გეგმავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიაში ექსპერიმენტებისა და კვლევების ჩატარების ფართო სპექტრის არსებობისთვის და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის გათვალისწინებით შეიძინოს და მოხმარების ფაზაში იყოს გამწოვი კარადა, ცეცხლგამზლე ზედაპირით მაგიდა და სველი წერტილი, რაც დააკმაყოფილებს ასევე ავტორიზაციის მე-3 სტანდარტის მოთხოვნებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ დადასტურებულია, რომ სკოლის ფიზიკური გარემო და აღჭურვილობა პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას და ხელს უწყობს იმ უნარების განვითარებას, რასაც ეროვნული სასწავლო გეგმა მოითხოვს. მაგ, სკოლაში არის სკოლაში არის გრიფირებული სახელმძღვანელოები, საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები და კარტოგრაფიული მასალა, ტექნოლოგიური აღჭურვილობა, სივრცე აქტიური სწავლებისთვის და ა.შ ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც მოიცავს კლასების აღჭურვას თანამედროვე სასწავლო ინვენტარით და ტექნიკით. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შექმნილია სასწავლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს კომფორტულ და ეფექტურ სწავლა-სწავლების პროცესს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და



	მიზნების შესრულებას, რაც სრულად პასუხობს კურიკულუმში განსაზღვრული შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა აქტიურად იყენებს შესაბამის მატერიალურ ტექნიკური რესურსებს, მუსიკის სწავლების დროს აქტიურად გამოიყენება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დამხმარე ელექტრონული რესურსები (მასალები). ინდიკატორი შეესაბამება.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი მიმართულების სამივე საფეხურით სწავლების პროცესისათვის სკოლა იყენებს შესაბამის მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად. შესაბამისი სასწავლო გარემოს, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებისა და ონლაინრესურსების მეშვეობით მიიღწევა კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
მათემატიკა	არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა საშუალო საფეხურის სპეციფიკა მოითხოვს უფრო სპეციალიზებულ ინფრასტრუქტურას. ადგილების ზღვრული რაოდენობის დაცვა პოზიტიური ფაქტორია, რაც ქმნის პოტენციალს ინდივიდუალური პრაქტიკული სამუშაოების გასაძლიერებლად. ინდიკატორი შეესაბამება
სპორტი	გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, ყველა მოსწავლე დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით, პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას.



	უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად. მასწავლებლები კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსს, ისეთი როგორიცაა, კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული ინტერაქტიული თამაშები, ელექტრონული პლათფორმები და სხვა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სწავლა სწავლების პროცესს წარმართავენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული ყველა საგნობრივი დისციპლინის შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები. ტექნოლოგიების მასწავლებელი ყავს მოწვეული.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშაოს ტექნოლოგიების მოწვეული პედაგოგის პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმები, რათა მან უახლოეს პერიოდში შეძლოს საგანში სერტიფიცირება, რაც სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მდგრადობას კვალიფიციური კადრით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კონკურსის დებულება

შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს შესაბამისად, ასევე რამდენად მოაქვს დაგეგმილ პროცესს სასურველი შედეგი.

კურიკულუმის მონიტორინგის პროცესი ხორციელდება კათედრის წევრებისა და დირექციის უშუალო თანამშრომლობის შედეგად.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით და კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგის პროცესი თანამშრომლობასა და განვითარებაზეა დაფუძნებული და მიზნად ისახავს პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის გზების ძიებას.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების უპირატესობას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების

დიაგნოსტიკას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი (V-VI კლასები) და განმავითარებელი შეფასების (I-VI კლასები) რუბრიკებით, ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ მზაობა, რომ ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე დაყრდნობით აწარმოონ ჰოლისტური შეფასება. კერძოდ, სასკოლო საზოგადოებას აქვს სწორი ხედვა რომ შეფასება იყოს ინტეგრირებული და ერთიანი და ამასთან, მონაცემების შეგროვება მოახდინონ სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი, მაგ. მოსწავლეთა ოჯახური პირობები, სოციალური მდგომარეობა, ტრადიციები და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

პედაგოგებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლაში მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება შეფასების რუბრიკების მიხედვით. რომლის დახვეწა სამიზნე ცნებებთან მიმართებით განხორციელდა ვიზიტის პერიოდში. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა განხორციელებული დიაგნოსტიკური შეფასების შესახებ ვერანაირი დოკუმენტი, თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ დაგეგმილი აქვთ დიაგნოსტიკური შეფასება და მზად არიან მომდევნო სასწავლო წლიდან განახორციელონ იგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა: სასურველია სკოლამ დაგეგმოს და განახორციელოს დიაგნოსტიკური შეფასება, რომლის შედეგებსაც გამოიყენებს საგნობრივი კურიკულუმების განვითარების პროცესში.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. გასაუბრებისას გამოიკვეთა კათედრის წევრთა მზაობა ურთიერთდაკავშირებულად, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით მოახდინოს დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მაგალითად, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები;

ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შემოქმედების ტიპის დავალებები

კათედრის ოქმები

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



--	--	--

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ისინი პერიოდულად ახორციელებენ კურიკულუმის რევიზიას. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მსჯელობენ რომელი კომპონენტი მუშაობს კარგად და სად სჭირდება ცვლილება, შემდეგ კი ქმნიან სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. გარდა ამისა, მასწავლებლები ურთიერდასწრების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის სრულყოფილი სახით, თუმცა აპირებენ განახლებული დოკუმენტის შემუშავებას დათქმულ ვადაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა, რომ მოახდინონ მიმდინარე პროცესების მუდმივი შესწავლა და რეფლექსია მათზე. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ძალისხმევა მიმართონ დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ მზაობა, კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ჩართული იყოს ყველა მასწავლებელი. ამასთან, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ

მნიშვნელოვანია, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

კურიკულუმები

.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 11.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მელანო ზოიძე 

მაია ფხაკაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) 

მერი ბეჟუაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებები) 

მაია ქუთათელაძე (უცხოური ენები) 

ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდა) 

ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიები) 



ბელა დურგლიშვილი (სახელმწიფო ენა)

შაქრო ჟღენტი (მათემატიკა)

ქეთევან ბორაშვილი (სპორტი)

ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)